გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N21 (9165) 31 ივლისი. 2015 წელი ფასი 50 თეთრი



5

## ემოციური დაპირების ლოგიკური დასასრული გამგებლის შელესილი პარაპეტით

## უნდა ვიყოთ რეალისტები და ვთქვათ, რომ...

7





2

## სოფელ-სოფელ ვიარეთ და ...

## STOP C!

4

## რაში სდებდა ბრალს ბერია აკაკი კვანტალიანს?

5

## "საქმის საკეთებლად მოვედით და არა რეგალიების მოსაპოვებლად"

## ვინ დაინიშნება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსად?

## თბილისის „ჩიტების" ქარხანას სამტრედიელი კარტოფილით მოამარაგებენ

6

## ცოფი გვაკლდა...



## ადგილობრივ ორგანიზაციებს უნდა ველაპარაკოთ ბევრი

## როცა პუშკინიც და პუტინიც ერთ ტაფაში იწვის

# სოფელ-სოფელ ვიარეთ და ...

თეა ბაბუნაშვილი

*არ დაზოგა იმ დღეს გამგებელმა ჟურნალისტების "ამქარი", სადაც წავიდა, ყველგან იახლა. არადა, ბევრგან იყო და ყველა ის სამუშაო დაათვალიერა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამებით რომ ფინანსდება.*

*ერთი სიტყვით, სოფელ-სოფელ ისე ვიარეთ, გულით სევდა არ გვიტარებია. თუმცა, გულში არც დარი დარობდა, ჯერ ერთი, პაპანაქება სიცხის და მეორეც, იმდენი გასაკეთებელ-გაუკეთებელის შემხედვარე, გზადაგზა რომ გვხვდებოდა. ზაფხულის მზე კიდევ რა, არც დოლარის პაპანაქებაში გვაქვს საქმე თუნდაც სევდაზე სასიმღეროდ, მაგრამ არჩევნებიდან დღემდე ყველაფერი უკეთ არის, მომავალ არჩევნებამდე კი, კარგად იქნებაო, აიმედებს ერს და ქვეყანას ქართულად მეოცნებე ხელისუფლება. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი, მისი თანმხლები პირები და ადგილებზე დამხვდური გამგებლის წარმომადგენლები, რა თქმა უნდა, საერთო პათოსს უერთდებიან. იმ დღეს უკვე შესრულებადაწყებულ სამუშაოებზე საუბრობდნენ მხოლოდ და ვერ მოსწრებულ-დაფინანსებულის ახლო მომავალში მოწესრიგება-დასრულების იმედებს გვიზიარებდნენ.*



ვოიაჟი დიდ ჯიხაიშიდან დაიწყო. სოფლის ყრილობის გადაწყვეტილებით ამ სოფლისთვის გამოყოფილი დაახლოებით 66 ათასი ლარიდან ნაწილი საბავშვო ბაღებს მოხმარდება. ქალაქის ბაგა-ბაღების მსგავსად, პრიორიტეტი აქაც სამზარეულოებისა და სველი წერტილების მოწესრიგებაა. გარდა ამისა, დიდი ჯიხაიშის მეორე საბავშო ბაღისთვის სათამაშოებისა და ინვენტარის შესაძენადაც გამოიყო ოთხი ათასი ლარი. სარემონტო სამუშაოებს აქ ექვსი ათასი ლარი დასჭირდება, პირველ საბავშვო ბაღში კი 16 ათასი ლარის სამუშაო შესრულდება. სამუშაოებს შპს "პირამიდა მმ" შეასრულებს. 2 კილომეტრიანი გზა, რომლის მოხრეშვა-მოშანდაგებას ინდმეწარმე "იუზა ვაშაყმაძე" ახდენს, ე. წ. როზას უბანს ყაზბეგის უბანთან აკავშირებს. სამუშაოები 10 600 ლარი ჯდება. გარდა ამისა, მოიხრეშა გზის მოკლე მონაკვეთები. შეკეთდება ქაშუეთის ეკლესიამდე მიმავალი გზა. დიდი ჯიხაიშის ამბულატორიაში სარემონტო სამუშაოები ჯერ კიდევ შარშან დაიწყო. წელს, შარშან უსახსრობის გამო დარჩენილიც დასრულდება, ანუ სველი წერტილები და სხვა დეტალები მოწესრიგდება.

გარდა ამისა, დიდ ჯიხაიშს მალე საზოგადოებრივი სახლიც ექნება, რომელშიც ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ცენტრი, ბანკის საპენსიო განყოფილება და სოფლის ადმინისტრაცია განთავსდება. 300 ათასი ლარის სამუშაოს შპს "ამაგი" შეასრულებს იუსტიციის სამინისტროს დაფინანსებით. წილობრივი მონაწილეობით ამ თანხიდან რაიონის ბიუჯეტზე მხოლოდ 50 ათასი მოდის. სოფელში გამგებლის წარმომადგენელი ნუგზარ ნუცუბიძე სოფლის ყრილობის გადაწყვეტილებით კმაყოფილია და აღნიშნავს, რომ წელს არაერთი საჭირო საქმე გაკეთდება იმდენად ხარისხიანად, რომ შემდგომში მათზე მიბრუნება არ მოუწევთ.

მელაურში ჩასულებს სოფლის რწმუნებული სოფიკო კიკაჩეიშვილი შეგვეგება. განათების სისტემა და სტადიონი, რომელიც თავის დროზე "ნაციონალებმა" ისე შემორაგვეს, ჭიშკარი არ გაუკეთეს, წელს სოფლის პროგრამით დასასრულებელ სამუშაოთა ნუსხაშია. განათების მოწყობა უკვე დასრულების ფაზაშია, მიმდინარეობს სტადიონის სარებილიტაციო სამუშაოები მესამე მიწაბოგირაზე. გარდა ამისა, სოფელ ხიბლარში მოიხრეშება გზა, მელაურის ადმინისტრაციულ სახლში, სადაც ამბულატორიაც გახლავთ განთავსებული, მოწესრიგდება სველი წერტილები. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მელაურისთვის გამოყოფილი 43 ათასი ლარი წელს ამ სამუშაოებისთვის გადანაწილდა.





69 ათასი ლარი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ნაბაკევის თემში შემავალი ხუთი სოფლისთვის, ხუნჯულაური, ნაბაკევი, ნინუაკუთხე, ჩხენიში და კვირიკესთვისაა განსაზღვრული. სანიაღვრე არხების მოწესრიგება კვირიკეს გარდა ყველა სოფლისთვის მნიშვნელოვანი იყო, ამიტომ პრიორიტეტად ეს საქმე აიღეს. გარდა ამისა, სოფელ ჩხენიშში 6800, კვირიკეში კი, 7600 ლარს სტადიონისთვის დახარჯავენ. ადმინისტრაციული სახლის შენობაში შესახლებულ ამბულატორიაში ბავშვთა ვაქცინაციის ოთახს მოაწესრიგებენ და თითქმის გაპარტახებული სოფლის კლუბიდან ბიბლიოთეკას გადმოიტანენ, რომელსაც საკმაოდ მდიდარი წიგნადი ფონდი აქვს. "სოფლის კლუბს ენერგიული ქალბატონი მადონა სტურუა ხელმძღვანელობს. სავალალო მდგომარეობის მიუხედავად, მაინც ახერხებს საკლუბო საქმე უყურადღებოდ არ დარჩეს, მაგრამ წიგნები ფუჭდება მოუვლელ შენობაში. მისი გადატანით კი, სოფლის ბიბლიოთეკას გადავარჩენთ. მათ სპეციალურად შექმნილი კომისიის ზედამხედველობით გადმოვიტანთ. წელს ძალიან დიდ პრობლემას ვუხსნით სოფელს არხების გაწმენდით. მომავალში სოფლის მხარდაჭერის პროგრამა მეტ მოგვარებულ პრობლემას მოუტანს ჩხენიშსა და ამ თემში შემავალ სოფლებს."_ ამბობს გამგებლის წარმომადგენელი ნაბაკევის თემში ოთარ წულეისკირი.

მეორე დღეს გამგებელი და გამგეობის წარმომადგენლები მარტო არ ყოფილან, მათ საკრებულოს თავმჯდომარე და მაჟორიტარი დეპუტატი შეუერთდნენ და სოფელ ღანირში მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სამუშაოები ყველა სოფელში სოფლის ყრილობის გადაწყვეტილებების მიხედვით სრულდება. მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი კახიანი მათ მიმდინარეობას დასრულებამდე დააკვირდება. მუნიციპალიტეტის გამგებელი კი აცხადებს, რომ კმაყოფილებას მაშინ გამოხატავს, როცა ისინი დასრულდება და ხარისხიანად ჩაბარდებათ.

# წყალნი წავლენ და წამოვლენ...

თეა ბაბუნაშვილი

*ქვიშანი რომ დარჩებიან კი, ბატონო, ცხადია, თუმცა, ტოლების თემში ამ ეტაპზე სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ გამოთქმის ფილოსოფიურობა.*

*ივლისის ხვატში გაღმა ზონის ერთ-ერთ მაღალმთიანი სოფლისკენ, ამჯერად ტოლებისკენ მიმავალ აღმართს მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია, მისი მოადგილე როსტომ თავაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია, თემის მაჟორიტარ ილო მჟავიასა და თემში გამგებლის წარმომადგენელ ალექსანდრე ბოცვაძესთან ერთად აუყვა.*



მაღალმთიანი ზონის სასმელი წყლით მომარაგება, უკვე წლებია, მუნიციპალიტეტის აქილევსის ქუსლია. ამ კუთხით არაერთხელ დაწყებული სამუშაოების, არაერთი მცდელობის მიუხედავად, პრობლემა პრობლემად რჩებოდა. რჩებოდა იმიტომ, რომ ამჯერად მისი უთუოდ მოგვარების იმედს იძლევა გამგებელი და მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახური. ზურაბ გოგია მაღალმთიან ზონაში სასმელი წყლის სისტემის მოსაწესრიგებლად რეგიონალური განვითარების პროგრამით გამოყოფილ 680 ათას ლარს, მართალია, სრულად საკმარისად არ მიიჩნევს, მაგრამ აღნიშნავს, რომ იგი სათავე ნაგებობების მოწესრიგებას, საქლორატოროების დადგმას და, ნაწილობრივ, მილების შეცვლას მოხმარდება. "მთლიანად პრობლემის მოგვარებას ორი მილიონი ლარი მაინც დასჭირდება. ამჯერად გამოყოფილი თანხა კი სრულიად საკმარისია, რათა გაღმა ზონის სოფლებმა სასმელად ვარგისი წყალი მიიღოს."_ აღნიშნავს იგი. მისი განცხადებით, სამუშაოების მიმდინარეობისას აღმოჩენილ ლაფსუსებს, რომლებიც პროექტით გათვალისწინებული არ იყო, რა თქმა უნდა, აღმოფხვრიან, მით უმეტეს, რომ ამას დიდი თანხა არ დასჭირდება.



ტოლების თემის მაჟორიტარი ილო მჟავია შიშობდა, რომ წყალი სოფელ ქორეისუბნამდე არ მივიდოდა. გამგებელმა მისი ეჭვი უსაფუძვლოდ არ მიიჩნია და თუ საჭირო იქნა, ორი ჭის დამატება აღუთქვა დეპუტატს. "ჩვენი მიზანია, გაღმა ზონის ყველა სოფელი მომარაგდეს სასმელი წყლით. და რაც მთავარია, წყალი სასმელად ვარგისი უნდა იყოს. ბატონი ილო თვლის, რომ თუ დებეტი არ დაემატა, წყალი ბოლო სოფლამდე, ანუ ქორეისუბნამდე არ მივა თუ ასეა, დაემატება კიდევ რამდენიმე ჭა."

ტოლები ის სოფელია, სადაც რამდენჯერმე მოიწამლა მოსახლეობა დაბინძურებული სასმელი წყლით. ამის მიზეზი თვითნებურად გადახსნილი მილებიცაა, საკარმიდამო ეზოებსა და სავარგულებზე ნათესების მოსარწყავად რომ ხმარობს მოსახლეობა. წყლის მილები დახვრეტილია და შიგ გამავალი სასმელი წყალი ადვილად ბინძურდება. მოსახლეობის ამ დანაშაულმა ცუდი შედეგი მათთვის გამოიღო. ატეხილი განგაშის მიზეზი, ალბათ, თავადაც იყვნენ, მაგრამ დამნაშავის ძიება, როგორც ხდება ხოლმე, პირველ რიგში, ხელისუფლებაში დაიწყეს. სოფელში გამგებლის წარმომადგენელი ალექსანდრე ბოცვაძე აცხადებს: "სისტემის მოწესრიგების შემდეგ კონტროლი გაეწევა, მილები არ გადაიხსნას ან დაიხვრიტოს. სწორედ ამიტომაა, რომ აქამდეც ვერ მიეწოდებოდა წყალი ქორეისუბანს. ამიერიდან ასე არ მოხდება, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა მოხდეს, რადგან გაკეთება ერთია და მისი მოვლა-შენარჩუნება მეორე."

"სამუშაოები გაისადაც გაგრძელდება და იმედს ვიტოვებთ, თუ მიმდინარე წელს ვერა, მომდევნო წლებში მაინც დასრულდება სრულად გაღმა ზონის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია."_ ამბობს მუნიციპალიტეტის გამგებელი და ხაზს უსვამს, რომ 680 ათასი არ არის ის თანხა, პრობლემის მოგვარებისთვის საკმარისი რომ იყოს.

"ინჟმშენი-96" ტენდერში გამარჯვებული ქუთაისური კომპანიაა და აქ სამუშაოებს ასრულებს. სამუშაოთა მწარმოებელმა გია ჯიშკარიანმა გაგვიცხადა, რომ "რვა კილომეტრზე იცვლება წყლის მილები, შენდება დასაქლორი შენობა, ხდება რეზერვუარების რეაბილიტაცია. სისტემა რვა სოფელს მოემსახურება. ამისთვის სამი თვის ვადა გვაქვს მოცემული. სამუშაოები დათქმულ დროში დასრულდება, ეს თავიდანვე იყო ჩადებული სატენდერო პირობებში. აღარაფერს ვამბობ ხარისხზე, რომელიც განმსაზღვრელი უნდა იყოს."

ტოლებიდან დაწყებული სამუშაოები წყალს რვა სოფლამდე ჩაიტანს და ალბათ, ისე არა, რომ სამუშაო სამუშაოსთვის ჩატარდეს, წყალმა კი კვლავ მისთვის იდინოს.

# თუნდაც უსამართლო იყოს კრიტიკა...



## აქ იყო გიორგი კახიანი

თეა ბაბუნაშვილი

ამ სურათით წერილის დაწყებას თავისი მიზეზი აქვს. თუმცა, იგი სწორედ ამ მიზეზის გამო იწერება.

ხმაურით შეხვდნენ სამტრედიის მაჟორიტარ დეპუტატს, პარლამენტარ გიორგი კახიანს და მუნიციპალიტეტის გამგებელს ვალერი ფოცხვერიას ქალაქის ყოფილ საავადმყოფოში შესახლებული დევნილები. საყვედური ბევრი და ხმამაღალი იყო _ არჩევნებამდე რომ იყავით, მერე არ გამოჩენილხართო, პირველად დაგინახეთ მას შემდეგ, რაც ყველამ თქვენი ადგილი მიიღეთო, დანაპირები არ აგვისრულეთო, ეზოში სკვერი არ მოგვიწყვეთ, ყოფითი პრობლემები არ მოგვიგვარეთო. "ექვსი თვის წინ გასატანი შენობის ნანგრევები ისევ აქ არის. ეზოში 80 ბავშვი ცხოვრობს. ვდარაჯობთ, თამაშისას დარჩენილი ნაწილი არ ჩამოინგრეს და შიგ არ მოჰყვნენ. გარდა ამისა, აქაურობა ქვეწარმავლების ბუდედაა ქცეული." _ სწუხდა ქალბატონი, რომელმაც ვინაობა არ დაასახელა. ყველაზე დიდი და საშიში პრობლემა ის ძველი შენობაა, რომელიც გაარემონტეს და საცხოვრებლად მისცეს ამ ადამიანებს. არავითარი საყრდენი, მეორე სართულს პირველთან მხოლოდ ბლოკი და აგური აკავშირებს გიფსოკარდონით შეფუთული. შეიძლება ნებისმიერ წამს ჩამოინგრეს იგი. საყვედურებს ტონი თანდათან ემატებოდა და დეპუტატის სიტყვები ბევრს არც ესმოდა: "მიუხედავად იმისა, რომ ვთვლი, არ არის სამართლიანი ის კრიტიკა, რაც ჩვენს მიმართ თქვენგან მოდის, მაინც ვიღებ. იცოდეთ, რომ მე თქვენს გვერდით ვარ. პირველად აქ რომ მოვედი, ბუნებრივი აირიც არ იყო შემოყვანილი. მას შემდეგ არაერთი პრობლემა მოგიგვარეთ. აქაც იმდენად ხშირად ვარ ნამყოფი, ზოგიერთი თქვენგანი ვიცანი კიდეც."

ემოციური გამოსვლების მიუხედავად, მადლობაც ითქვა ორი ადამიანის მისამართით. ეს ორი, მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე დავით ბახტაძე და მოადგილე მამუკა თავაძეა, რომლებმაც წყლის და დასუფთავების პრობლემა სწრაფად მოაგვარეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საცხოვრებელ ბინებამდე წყალი ხელით შეაქვთ. ამ პრობლემის გადაწყვეტის საშუალება, როგორც გამგებელმა აღნიშნა, მუნიციპალიტეტს ჯერჯერობით არ აქვს. საყვედურები იქამდეც მივიდა, რომ "ადგილობრივებთან ჩვენი შედარება არ შეიძლება. ჩვენი პრობლემები მეტი მონდომებით უნდა მოგვარდეს." _ამბობდნენ დევნილები. ამან, ალბათ, სამართლიანად ცოტა გააღიზიანა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ვნებები მაინც დაცხრა. დაცხრა მაშინ, როცა გაიგეს, რომ ყოფილი ინფექციური საავადმყოფოს შენობის ნანგრევებს მალე გაიტანენ. ეს აქამდე იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ იგი ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე იყო. ამ ადგილზე მალე პატარა სკვერი გაშენდება.

"უნდა დაიჭირო ის ხალხი, ვინც თქვენ აქ შემოგიყვანათ." _ ეთანხმებოდა თითო ბლოკსა და აგურზე დატოვებული საყრდენით, მხოლოდ კოსმეტიკური ფერ-უმარულით შელამაზებული ძველი შენობით აღშფოთებული გამგებელი დევნილებს, ღამე შიშით გვძინავსო, რომ ამბობდნენ. ისინი აქ ორი წლის წინ შემოასახლეს. ზურაბ გოგიამ, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას ჯერ კიდევ წინამორბედებიდან მოჰყვება, ახსნა, რომ საავადმყოფოს ყოფილი შენობა ეკონომიკის სამსახურის ბალანსზეა. ადგილობრივ ბიუჯეტს მასზე თანხის გამოყოფა და არანაირი სამუშაოს ჩატარება არ შეუძლია. მეტიც, როცა მას დევნილების შესაყვანად ამზადებდნენ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს სამუშაოებზე არც შეახედეს. არავინ იცოდა, რა და როგორ კეთდებოდა აქ. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მაშინ დავით დარახველიძე ხელმძღვანელობდა. ისმოდა კიდეც იმ დღეს მისი მისამართით: "დარახველიძემ საკუთარი ცოლ-შვილი აცხოვროს ამ სახლში."

"აქ მუნიციპალიტეტი ხარჯს ვერ გასწევს, ამის იურიდიული უფლება არ გვაქვს, იმას კი, რაც გვევალება, ვაკეთებთ, ბატონო! ის ადამიანები, ვისაც მადლობა გადაუხადეს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, გამგებლის მოადგილეები არიან. სანამ ყველაფერი მოწესრიგებული არ იქნებოდა, აქ ხალხი საცხოვრებლად არ უნდა შემოეყვანათ. გაზიფიცირება დეპუტატის დიდი ძალისხმევით თითქმის დასრულებულია, წყალი ეზოში შემოყვანილი. ეზოს



მოწესრიგებაც მალე დაიწყება. რაც შეეხება დეპუტატის ხშირ ვიზიტს, ღენიადაგ აქ ხომ არ იქნება? იმიტომ არსებობენ სხვა შესაბამისი სამსახურები, რომ მათზე დავალებული საქმე გააკეთონ."_ ამბობდა მუნიციპალიტეტის გამგებელი.

დევნილთა ემოციები ამგვარი საუბრის შემდეგ თანდათან დაცხრა. მათ ისიც გაუმხილეს სტუმრებს, რადგან ცხელი ხაზი არ პასუხობთ, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრთან შესახვედრად წასვლას ვაპირებთო. "გვესმის ამ ადამიანების. ძნელია, საკუთარ ნაშრომს მოსწყდე და სხვაგან ამგვარი პრობლემებით იცხოვრო. ვცდილობთ დავეხმაროთ, მით უმეტეს, რომ ეს ჩვენი მოვალეობაა. თუნდაც უსამართლო იყოს მათგან კრიტიკა, ვალდებულები ვართ, გავითვალისწინოთ იგი. რამდენიმე მათგანმა საკუთარ ბინაში შემიყვანა და ვერ გავამტყუნებ მათ." _ აღნიშნა მაჟორიტარმა და მინისტრთან აუდიენციაზე დახმარებას დაჰპირდა. ეს დანაპირები მალევე აასრულა, ახალი წამოსულები გახლდით ამ დასახლებიდან, თავად რომ ესაუბრა მინისტრის მოადგილეს გრიგოლ გიორგაძეს. იგი დევნილებს ქუთაისში რამდენიმე დღეში შეხვდება.

დაბოლოს, სურათი წერილის დასაწყისში _ იგი გიორგი კახიანმა საკუთარი სურვილით გადაიღო იმ ორ ქალბატონთან, განსაკუთრებით რომ აქტიურობდნენ და დეპუტატს არჩევნების შემდეგ არ გამოჩენილხარო, საყვედურობდნენ. ამ ფოტოს, თუნდაც განწყობისთვის, ასე შეიძლება ეწოდოს _ აქ იყო გიორგი კახიანი!

თეა ბაბუნაშვილი

# სავიზიტო ბარათის მიმდებარედ

***იმ ორ მილიონზე მეტი ლარიდან, რეგიონალური განვითარების ფონდმა სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის რომ გამოყო, 100 ათასი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, უფრო სწორად, მისი ერთი ნაწილის რეაბილიტაციისთვის გადაინახეს. გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე, 100 ათასად გაწერილი სამუშაოს 59 ათასად შესრულება შპს "პირამიდამ" იკისრა, რომელსაც ზვიად გორელიშვილი ხელმძღვანელობს. სამთვიანი ვადით განსაზღვრული სამუშაოები უკვე დაიწყო. დაიწყო კი არა და, აქტიურ ფაზაშია. მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, ზურაბ გოგიასთან ერთად მათ დასათვალიერებლად იმ დროს მივიდა, მუშაობაც გახურებული რომ იყო და ივლისის შუადღეც ჩრდილს ეფარებოდა.***

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში პირველ სართულზე შენობის ის ნაწილი რემონტდება, სადაც აქამდე საბავშვო ბიბლიოთეკა გახლდათ განთავსებული. გადაკეთება-გადმოკეთების, ანუ რამდენიმე ტიხარის გახსნის შედეგად, აქ იმხელა ფართი გამოჩნდა თუ "აღმოაჩინეს", რომ ბიბლიოთეკის გარდა საკონფერენციო დარბაზსაც დაიტევს და მხარეთმცოდნეობის მუზეუმსაც შეიფარებს, რომელიც ამ შენობაში დღემდე დროებით ფუნქციონირებს.

სამუშაოთა მწარმოებელი დათო ჯანელიძე შესასრულებელ სამუშაოებზე საუბრობს. შენობის ამ ნაწი-



ლის კედლები სამტრედიის ნესტიანი ჰავის გათვალისწინებით გიფსოკარდონით შეიფუთება, დაიგება მეტლახი და ლამინირებული იატაკი, გაკეთდება შეკიდული ჭერი, განახლდება ელექტროგაყვანილობა, შეიცვლება 7 კარი, მოწესრიგდება სველი წერტილები.

ქალაქის ცენტრში მდებარე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია, გარდა შენობაში შექმნილი სიტუაციისა, იმანაც განაპირობა, რომ იგი სამტრედიის სავიზიტო ბარათად ქცეული წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარს ემეზობლება. აქ არა მარტო სამტრედიელები, ქალაქის ბევრი სტუმარიც დადის. ამ ტერიტორიის მოწესრიგება აუცილებელიც გახლდათ. გარდა შენობის შიგნით ჩატარებული სამუშაოებისა, განახლდება მისი ფასადიც. მუნიციპალიტეტის გამგებელი აქაც, როგორც ყველა სხვა ობიექტზე, ყურადღებას ხარისხზე ამახვილებს და აღნიშნავს, რომ შპს "პირამიდა" ის სამშენებლო ორგანიზაციაა, რომელთანაც პრეტენზიები არ აქვთ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ტატა გოგუაძე საუბარს იმ საკონფერენციო დარბაზით იწყებს, სულ მალე რომ შეემატება შენობას. "ძალიან გვჭირდებოდა, ზემო სართულში გვაქვს დარბაზი, სადაც ორი ქორეოგრაფი მუშაობს და ყოველთვის დაკავებულია. სხვადასხვა ღონისძიებებისას, ძალიან ხშირად რომ ეწყობა ჩვენთან, დარბაზის პრობლემა გვქონდა, ამიერიდან კი აღარ გვექნება. მოხარულები ვართ, რომ რაიონში ერთადერთი საბავშვო ბიბლიოთეკა, 20 ათასიანი წიგნადი ფონდით, მოწესრიგდება და უფრო თანამედროვე პირობებში იმუშავებს. გარდა ამისა, მართალია დროებით, მაგრამ აქ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი განთავსდება. ექსპონატებისთვის შესაფერისი გარემო შეიქმნება და სავარაუდოდ, მუშაობაც უკეთ წარიმართება."

რაც შეეხება მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომლის აღდგენის იდეა ღირსეულ სამტრედიელს, ჯონი ნადირაძეს ეკუთვნის, ბინას საბოლოოდ იმ შენობაში დაიდებს, ტაძრის მიმდებარედ, საჭადრაკო კლუბის გვერდით რომ აშენდება. "მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების იდეა 60-70-იანი წლებიდან მოდის. აქ, მაშინდელ პიონერთა სახლში მხარეთმცოდნეობის წრე მუშაობდა, რომელიც მალე კლუბის სახით ჩამოყალიბდა. მას ქალბატონი გულიკო ცინცაძე უძღვებოდა. უცხო არავისთვისაა, რომ ქალბატონ გულიკოს ამ კუთხით დიდი გამოცდილება აქვს და ამ მუზეუმს, დღესაც ამიტომ ხელმძღვანელობს. ექსპონატები, ამჟერად რომ გააჩნია მუზეუმს, იმ ძველი ნივთების ნაწილია, ადრე რომ ჰქონდათ. ისინი წლებია ინახება როგორც ქალბატონ გულიკოსთან, ისე მუზეუმის ყოფილ თანამშრომლებთან. ძველებს ახალიც არაერთი მიემატა. ყველა ექსპონატი არც მოგვაქვს, ველოდებით აქაურობის მოწესრიგებას და შემდეგ ეფექტიც მეტი გვექნება. ამგვარი განახლება ამ შესანიშნავი ტაძრის აშენებამ გამოიწვია. ეს ადგილი დომინანტი გახდა, სამტრედიის წარსული, აწმყო და მომავალიც უნდა "დაათვალიერებიოს" ადგილობრივებსაც და ქალაქის სტუმრებსაც. ხელისუფლების ძველი და ახალი წარმომადგენლებიც აქტიურობდნენ და აქტიურობენ მუზეუმის შექმნის და ქალაქის ამ ნაწილის რეაბილიტაციის და გათანამედროვების კუთხით." _ აღნიშნა მან მიმდინარე სამუშაოების დასათვალიერებლად მისულთა თანდასწრებით.

ქალაქის, და არა მარტო ქალაქის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათად ქცეული საკათედრო ტაძრის მიმდებარედ, არაერთი წლის ისტორიით დატვირთული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი სამტრედიის ახლო წარსულის და მომავლის მოამბედ განახლებული ინტერიერითა და ექსტერიერით გააგრძელებს ჩვეული მონდომებით მუშაობას.

# ვინ დაინიშნება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსად?

ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერი ფოცხვერია საკრებულოში შევიდა წინადადებით, შეიქმნას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და მოხდეს შესყიდვების, ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის რეორგანიზაცია.

რატომ დადგა დღის წესრიგში აღნიშნული საკითხი და სხვა მუნიციპალიტეტებში აქვს თუ არა ადგილი მსგავს პრეცენდენტებს? _ ამ კითხვით მივმართეთ მუნიციპალიტეტის გამგებელს.

ვალერიანე ფოცხვერია: "უნდა გითხრათ, რომ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით ვხელმძღვანელობ. ზოგ მუნიციპალიტეტში შესყიდვების სამსახური განყოფილების დონეზე ფუნქციონირებს. ზოგან _ არა. ჩვენს შემთხვევაში, როგორც გამგებელმა, საჭიროებიდან გამომდინარე ჩავთვალე, შესყიდვების სამსახური დარჩეს განყოფილების დონეზე. უფრო სწორია და მართებული, საფინანსო სამსახურის შემადგენლობაში შედიოდეს შესყიდვების განყოფილება. უმეტეს მუნიციპალიტეტში ასეა.

საფინანსო სამსახურში საფინანსო მიმართულების განყოფილებებია, შესყიდვებიც იგივე პრინციპებს ეფუძნება. შესყიდვების სამსახურში დასაქმებული ადამიანები იმავე მიმართულებით გააგრძელებენ მუშაობას, ხოლო ზედამხედველობის მიმართულებით მომუშავენი კი ინფრასტრუქტურის სამსახურში გადავლენ. ესეც იმითაა გამოწვეული, რომ უფრო მობილური გახდეს ეს სამსახურები. მეტი კოორდინაციაა საჭირო.



რაც შეეხება ახალი სამსახურის დაფუძნებას, გვაქვს ასეთი ფორმულა: 13 თანამდებობის პირი, გამგებელი, სამი მოადგილე და სამსახურის უფროსები. თავის დროზე არსებობდა მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. ამ სამსახურში შედის: პრესასთან ურთიერთობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებები, ამ ყველაფერს კოორდინირებას გაუწევს სამსახურის ხელმძღვანელი. ამ ცვლილებების საჭიროება გაჩნდა. ცოტა არ იყოს, ამ მიმართულებით, მართალი გითხრათ, ჩვენი მუნიციპალიტეტი მოიკოჭლებს.

**_ პიარს გულისხმობთ?**

_ რატომ, მარტო პიარი არაა, პიარიც შეიძლება შედიოდეს, ყველა გაკეთებულ საქმეს სჭირდება მოსახლეობამდე მიტანა.

**_ რა პრინციპით შეარჩიეთ კადრი ამ სამსახურის ხელმძღვანელად?**

_ ჯერ არ შემირჩევია, ამ კანდიდატურაზე ფიქრი ჯერ კიდევ გრძელდება.

**_ მიხეილ ლეჟავას კანდიდატურა არ განიხილება?**

_ კი, განიხილება ეს კანდიდატურა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. ჩემი, გამგებლის გადასაწყვეტია, ვინ დაინიშნება, მანამდე კი ჩემი გუნდის წევრებთან კონსულტაციებს გავივლი.

**_ არის თუ არა აუცილებელი კრიტერიუმი, ამ თანამდებობაზე ჟურნალისტი დაინიშნოს?**



_ ეს არ არის აუცილებელი. ჟურნალისტი შეიძლება იყოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ სამსახურის უფროსი არის მენეჯერი, შეიძლება ჟურნალისტი იყოს, არ გამოვრიცხავ, მთავარია, ის იყოს განათლებული და წესიერი ადამიანი".

რამდენიმე დღეში, სათანადო პროცედურის გავლის შემდეგ, საბოლოოდ დასრულდება რეორგანიზაციის პროცესი და გაირკვევა, ვინ იქნება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი. რაც შეეხება სამსახურში მომუშავე კადრებს, გამგებლის თქმით, ყველა იქ მომუშავე ადამიანმა გაიარა კონკურსი, ჩააბარა გამოცდა, მაგრამ ისინი არ იყვნენ დატვირთულნი, და ამიტომაც ჩათვალა საჭიროდ გამგებელმა, ამ სამსახურს სათავეში ჩაუდგეს ხელმძღვანელი და სამსახურში დასაქმებულებმა თავიანთი ფუნქციები უკეთესად შეასრულონ.

**მიხეილ ლეჟავა:**

**_ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსად ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად განიხილებით...**

_ ეს გამგებლის გადასაწყვეტი საკითხია.

**_ დანიშვნის შემთხვევაში რამდენად კარგი შემოთავაზება იქნება ეს თქვენთვის და რის გაკეთებას აპირებთ?**

_ იმ შემთხვევაში, თუ ამ თანამდებობაზე დავინიშნე, შევეცდები, ყველა დავალება შევასრულო. რომ გითხრათ, კარგი ვიქნები, წინასწარ ვერ გეტყვით. საბოლოოდ ჩემს გაკეთებულ საქმეს დრო შეაფასებს.

**_ რა პროფესიის ბრძანდებით?**

_ ინჟინერ-ეკონომისტი.

# გესმის? გერშვინია!

თეა ბაბუნაშვილი



ეს ფრაზა ტარიელ ჭანტურიას ლექსიდან იმიტომ, რომ მაჟორიტარი გიორგი კახიანი დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლას ეწვია. და კიდევ იმიტომ, რომ სარემონტო სამუშაოებით არეულ ამ სკოლაში შესვლისთანავე ის დარბაზი ნახა, სადაც ერთ-ერთი კონცერტის დროს დაუკრა კიდეც. ახსოვს, გერშვინის "ცისფერი რაფსოდია" შეასრულა. ამ სამუსიკო სკოლის სახელოვანი ტრადიციები ეამაყება კლასიკური მუსიკის მოყვარულ პარლამენტარს. "ძალიან მიყვარს მუსიკა. ამ სკოლის საკონცერტო დარბაზში დამიკრავს კიდეც. ამიტომ, ძალიან მიხარია, რომ მუნიციპალიტეტი რგფ-ის პროგრამით აქ სარემონტო სამუშაოებს ასრულებს. მსიამოვნებს ამ სკოლის წარმატებები."_ ამბობდა იგი თითქმის საუკუნოვანი შენობის ფოიეში.



№1 სამუსიკო სკოლას კი ძველს მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრით განუახლებენ, მოწესრიგდება სველი წერტილები, შეიცვლება ფასადის კარი, გარემონტდება სამი ოთახი. ეს რგფ-ის დაფინანსებით. ადგილობრივი ხარჯებით ორს კიდევ სამს დაუმატებენ.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა სასიამოვნო სიახლეზე გააკეთა აქცენტი _ ფოლკლორის ცენტრმა მუნიციპალიტეტს ფილიალის გასახსნელად შენობის გამოყოფა სთხოვა. რამდენიმე შეთავაზებულიდან არჩევანი სწორედ სამუსიკო სკოლაზე შეაჩერეს. იმ ნაწილს, რომელშიც ეს ცენტრი განთავსდება, თავად ფოლკლორის ცენტრი გაარემონტებს. გარდა ამისა, როგორც დაჰპირდნენ, ადგილობრივ პედაგოგებს დაასაქმებენ. "ჩვენთან ფოლკლორის ცენტრის გახსნის იდეა ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველს, მიტროპოლიტ მეუფე საბას ეკუთვნის. იგი თავად შეეხმიანა ცენტრის ხელმძღვანელს. ჩვენზე რაც არის დამოკიდებული, მზად ვართ, დაუყოვნებლივ შევასრულოთ. ასე კიდევ ერთი კარგი საქმე გაკეთდება სამტრედიის და ამ სამუსიკო სკოლის სახელოვანი ტრადიციების გასაგრძელებლად." _ აღნიშნა ვალერი ფოცხვერიამ.

სამუსიკო სკოლისთვის გამოყოფილი 100 ათასი ლარიდან, შპს "გუდა" სამუშაოებს ტენდერის საფუძველზე 60 ათასად ასრულებს. ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის შენობა მზად იქნება.

ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი სამუსიკო სკოლის დარად რემონტშია. ფოიეს, კიბის უჯრედის, სველი წერტილების, იარუსის, განათებისა და გახმოვანების ოთახის რეაბილიტაციას იგივე კომპანია მოახდენს. სამუშაოები აქაც რგფ-ის პროგრამით მიმდინარეობს. ახალ თეატრალურ სეზონს კულტურის ცენტრი განახლებული ინტერიერით შეხვდება. რეჟისორი ვეფხია ნადირაძე აანონსებს, რომ იგი ოქტომბრის დასაწყისში "კუკარაჩათი" გაიხსნება.

გიორგი კახიანს გაუჭირდა საკუთარი 7 წლის ვაჟისთვის, რომელიც თან ახლდა, აეხსნა, რატომ იყვნენ ამ სახლში ეს ბებიები შვილებისა და შვილიშვილების გარეშე. სათნოების სახლის მძიმე კარი გაიღო და მაჟორიტარი დეპუტატი გამგებელთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად მათ წინაშე აღმოჩნდა.

აქაურობაც სარემონტო აურზაურს მოეცვა. 50 ათასი ლარის სამუშაოს აქაც შპს "გუდა" ასრულებს. ოთახებში კოსმეტიკური სამუშაოები ჩატარდება, მოწესრიგდება სველი წერტილები, გარდა ამისა, აქ მომუშავე სამშენებლო ორგანიზაციამ სურვილი გამოთქვა, საჩუქრად ავეჯის ნაწილი გადასცეს მოხუცებს.

მაჟორიტარმა დეპუტატმა მორიგი ვიზიტისას მუნიციპალიტეტში გამგებელთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად ყველა ის ობიექტი მოინახულა, სადაც ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს. დატვირთული დღის ბოლოს კი აღნიშნა, რომ რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი თანხა ადგილობრივებმა სწორად გაანაწილეს.

# STOP C!

# სკრინინგული კვლევა სამტრედიაში





ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ყოველწლიურად 29 ივლისს, C ჰეპატიტთან ბრძოლის დღე აღინიშნება.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკას მკურნალობაში ჩართვამდე, მკურნალობის პროცესის მონიტორინგისათვის აუცილებელი კვლევების ჩატარებას, C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებით და ა.შ.

C ჰეპატიტზე უფასო სკრინინგული კვლევა 29 ივლისს სამტრედიაშიც ჩატარდა.

_ უახლოესი (რეგიონალური) ლაბორატორია ქუთაისში ოცხელის №2-ში მდებარეობს, მათ ვისაც C ჰეპატიტი აღმოაჩნდება, ან დღეს აქ ვერ მოვიდა, ღრმა კვლევებისა და შემდეგი პროცედურებისათვის შეუძლიათ მიმართონ ამ ლაბორატორიას. _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" სამტრედიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა, მარინე თევზაძემ.

სამტრედიელები მოწონებით შეხვდნენ აქციას, დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ მიეღოთ ბუკლეტები, რომლებშიც მოცემულია C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპის ღონისძიებები.

ლევან გაბეჩავა

# ემოციური დაპირების ლოგიკური დასასრული გამგებლის შელესილი პარაპეტით

თეა ბაბუნაშვილი

***დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც საბავშვო ბაღების თემა "ზმაურობდა" ქვეყნის მასშტაბით. სხვადასხვა მუნიციპალიტეტს შორის სამტრედია პიონერი გახლდათ. ჯერ კიდევ ახლად დანიშნული იყო ადგილობრივი ხელისუფლება, სკოლამდელი დაწესებულებების ინფრასტრუქტურით რომ დაინტერესდა და ყოფილებს, ანუ "ნაცმოძრაობას" საბავშვო ბაღებში მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურით რომ უგებდა ნიშანს. ჟურნალისტებს რას დაავიწყებ, და დღევანდელი საკრებულოს ერთ-ერთი წევრის მაშინდელი ფრაზა გვახსოვს, უნდა აღწერო, როგორი ჩავიბარეთ რაიონი, შემდეგ როგორად ვაქცევთ, უკეთ რომ განსაჯონო.***

მაშინ დაპირებები საბავშვო ბაღების დათვალიერებისას აღშფოთებასთან ერთად უხვად გაიცა. წელს კი, ზაფხულის პაპანაქების მიუხედავად, მუნიციპალიტეტის გამგებელმა სწორედ იმ ინფრასტრუქტურული სამუშაოების დათვალიერება დაიწყო, შარშანდელი დაპირებისამებრ ქალაქის ცხრავე საბავშვო ბაღში რომ არის გაჩაღებული.

სექტემბრისთვის ყველა მათგანი დასრულებული იქნება. წინასწარ მიცემული სამთვიანი ვადა საკმარისი დროა დაწყებულის დასამთავრებლად, მით უმეტეს, რომ აქ დაბრუნებულ პატარებს მოწესრიგებული გარემო აუცილებლად უნდა დახვდეთ.

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტებზე საუბრობს. ადგილობრივი ხელისუფლების წარდგენით საბავშვო ბაღებში, და არა მარტო აქ, მიმდინარე სამუშაოებს სწორედ ეს ფონდი აფინანსებს. ამისთვის 300 ათასი ლარი გამოეყო მუნიციპალიტეტს. პრიორიტეტად ქალაქის პირველი, მეოთხე და მეცხრე ბაღები იქნა აღებული. ყველა მათგანში შეიცვლება სახურავი. რაც შეეხება სველი წერტილებისა და სამზარეულოების მოწესრიგებას, ისინი ქალაქის ცხრავე საბავშვო ბაღში განახლდება და მოწესრიგდება.

სამუშაოებს შპს "ტუკი" ასრულებს. მათ მიმდინარეობას ბაგა-ბაღების მმართველებთან ერთად თვალყურს ადგილობრივი ხელისუფლებაც ადევნებს. ისინი ქალაქის პირველ, მეორე, მეოთხე და მეექვსე საბავშვო ბაღებში მუნიციპალიტეტის გამგებელმა თავად დაათვალიერა და მშენებლები კიდევ ერთხელ გააფრთხილა, რომ ყველა სამუშაო ხარისხიანად უნდა შესრულდეს. მმართველებთან საუბრისას გაირკვა, რომ ზოგ შემთხვევაში პროექტში ხარვეზები აღმოჩნდა. ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან და გამგებელთან ერთად, მშენებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შეთანხმებით, ყველა შემთხვევაში ადგილზევე გადაწყდა მათი შეცვლა. როგორც გამგებელმა, და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა აღნიშნეს, რომ თანხიდან გაუსვლელად, ე. ი. თითოეულ ბაღზე გამოყოფილი თანხის ფარგლებში შესაძლებელია სამუშაოების შეცვლა, რადგან ბაღების მმართველებმა უკეთ იციან, რა და როგორ ჯობია მათთვის. მეორე საბავშვო ბაღის სამზარეულოში ელექტროგაყვანილობის სამუშაოები იყო ჩასატარებელი, რაც პროექტით გათვალისწინებული არ გახლდათ. აგრეთვე, სველი წერტილის პირველი სართულის ნაცვლად მეორეზე შეკეთება.

მსგავსი გადანაცვლება მმართველების წინადადების გათვალისწინებით სხვა ობიექტებზეც აღმოჩნდა საჭირო. აღნიშნა კიდეც ვალერი ფოცხვერიამ _ "ძალიანაც კარგი, რომ მმართველები თვალ-ყურს ადევნებენ და მიგვითითებენ ზოგიერთ უზუსტობაზე, ან მათთვის უფრო ხელსაყრელ სამუშაოზე. ყველა შენიშვნას გავითვალისწინებთ. სამუშაოები წელს არ დასრულდება, ეტაპობრივად მომავალ წელსაც გაგრძელდება. სამწუხაროდ, არ არის საშუალება, ყველაფერი ერთად გაკეთდეს, სრული რეაბილიტაცია მოხდეს. მთავარია, რომ საზოგადოებას აღუდგეს რწმენა, რომ დანაპირები შესრულდება და შესრულდება ხარისხიანად."

პირველი აგვისტოდან ქალაქის სხვა საბავშვო ბაღებიც ჩაებმება ამ ფერხულში. ყველა მათგანს მუნიციპალიტეტის გამგებელი თავად დაათვალიერებს. შპს "ტუკი", ანუ ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია, დათქმული ვადების დაცვას და ხარისხის გარანტიას იძლევა, მით უმეტეს, რომ არაფერი ვთქვათ შესაბამის სტრუქტურებზე მუნიციპალიტეტის მმართველობაში, თავად მმართველებს არ რჩებათ მხედველობიდან არც ერთი დეტალი. "რაღაც გადანაცვლებები მოვითხოვე და მაშინვე დააკმაყოფილეს. ხუთ ჯგუფზე ვმუშაობთ, მომდევნო სასწავლო წლიდან კიდევ ერთის დამატების აუცილებლობა გვექნება ალბათ. საჭიროც იყო ამგვარი განახლება და მოხარულები ვართ, რომ ტარდება."_ ამბობს მეორე ბაგა-ბაღის მმართველი ინგა წიქვაძე. მეოთხე ბაგა-ბაღში მისულები, ბავშვთა საძინებელში აღმოჩნდით. სასიამოვნო დასანახი იყო დიდ ოთახში ერთად მძინარე პატარები. მმართველმა, ნანა დუნდუამ ის საწოლი დაგვანახა, რომელშიც პატარა ჩინელი გოგონა იწვა. გვითხრა, ქართულად საუბრობსო.







მეექვსე საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი ლინა შენგელია სტუმრობისას მუნიციპალიტეტის გამგებელს გაფართოებულ საძინებელსა და სამზარეულოსთვის ახლად გამოყოფილ ფართს ათვალიერებინებდა. პირველ ბაგა-ბაღში მმართველმა მარინა შენგელიამ მშობლების კმაყოფილება და მადლობა გადასცა ვალერი ფოცხვერიას, რადგან ჭერი, საიდანაც წყალი ჩამოდის, უკვე მათთვის პრობლემა აღარ იქნება.

ვალერი ფოცხვერია, მუნიციპალიტეტის გამგებელი, როგორც გაგვიმხილა, ერთ-ერთი პროფესიით კალატოზი გახლავთ, თავად ავიდა კულაშის საბავშვო ბაღის სახურავზე და რამდენიმე აგური არა, მაგრამ ბლოკი კი დასდო მის მშენებლობაზე. იმას, რაც ბატონმა გამგებელმა შელესა, როგორც ზურაბ გოგიამ აგვიხსნა, პარაპეტი ჰქვია. რა თქმა უნდა, შემთხვევა ხელიდან არ გავუშვით და ეს მომენტი ფოტოთიც დავაფიქსირეთ, მით უმეტეს, რომ ეს სწორედ ის ბაღია, მობილური ტელეფონით სხვა შინაარსის სურათი რომ გადაიღეს ცოტა ხნის წინ. მაგიდაზე ჩაძინებული ბავშვით, ერთ-ერთი ტელეგადაცემით "პოპულარული" გახდა სამტრედია. როგორც გავარკვიეთ, იმ პერიოდში, ანუ მხოლოდ ერთი თვე იმიტომ ვერ აძინებდნენ ბავშვებს, რომ საძინებელში სახურავიდან წყალი ჟონავდა. ამიერიდან ეს პრობლემა აღარ ექნებათ. მით უმეტეს, რომ სახურავის პარაპეტი გამგებლის გალესილია. ამასთან ერთად, კულაშის საბავშვო ბაღში წყლის ავზი დაიდგმება, შეიღებება შესასვლელი. შენობა, რომლის ნაწილიც ამჯერად ბაღს უკავია, საბავშვო ბაღის ტიპური შენობაა და ერთ დროს მთლიანად ჰქონდა ათვისებული ამ ტიპის სკოლამდელ დაწესებულებას. ამჯერად ბაღი ორ ჯგუფზე ფუნქციონირებს და მესამეს დამატებას ახალი სასწავლო წლიდან ვარაუდობენ, მაგრამ სრულად შენობა მაინც ვერ დაიტვირთება. გადახურვით კი თავიდან ბოლომდე გადაიხურება და აღდგება, ხოლო შემდეგ დაბის საჭიროებისამებრ იქნება დატვირთული. საბავშვო ბაღის მმართველმა, ეკა ბელთაძემ აღნიშნა, რომ კულაშის მაჟორიტარმა იმედა გოგავამ ეზოს შემორაგვა დაჰპირდა მათ მაშინ, როცა საჭირო ინვენტარი და სათამაშოები გადასცა საჩუქრად.

ერთი წლის წინანდელი დანაპირები შესრულების ფაზაშია. მით უმეტეს, რომ, როგორც წერილის დასაწყისში გავიხსენეთ, ჩაბარებული მუნიციპალიტეტის სასიკეთოდ განახლების სურვილი ემოციურად გამოითქვა საკრებულოს ერთ-ერთი წევრისა და გამგებლის მოადგილისგან. ლოგიკური დასასრული სასწავლო წლის განახლებასთან ერთად გახდება თვალსაჩინო. მანამდე კი ყველა სამუშაოს მუნიციპალიტეტის პირველი პირები თავად აკონტროლებენ.

# "საქმის საკეთებლად მოვედით და არა რეგალიების მოსაპოვებლად"

ნათია ნაცვლიშვილი

***მალხაზ ნაცვლიშვილი 7 ივლისს დაინიშნა სპეციალისტად სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით. სწორედ მისი დანიშვნის დღეს დაემთხვა უწყლობის პრობლემით განერვიულებული მოქალაქეების მოზღვავება ბაშის ადმინისტრაციულ შენობაში.***

"მოჯადოებულ წრეში მოვექეცით ბაშელები, ზამთარში წყალს მივყავართ, ზაფხულში _ წყალი არ გვაქვს." _ გვიხსნის ბატონი მალხაზი. მისი თქმით, წლეულს უწყლობის პრობლემამ განსაკუთრებულად იჩინა თავი. მრავალი წლის განმავლობაში სოფელ ბაშს სარწყავი წყალი მიეწოდებოდა ფარცხანაყანევის ტერიტორიაზე მდებარე წყალსადენიდან, საიდანაც მოწოდება შეწყდა. სოფელში 600 კომლი ცხოვრობს, საქონელი უწყლოდ დარჩა, ნაკვეთები კი _ მოურწყველი. არადა, სოფლის მოსახლეობა ძირითადად თავს მესაქონლეობით და მეურნეობით ირჩენს. სოფლის ხელმძღვანელობამ ალტერნატიული გზა გამონახა _ ფარცხანაყანევი-მუხიანის საზღვრიდან სოფელ ბაშამდე არხით მდინარე რიონიდან წყალს გამოიყვანენ და სოფელი შვებას იგრძნობს. ამ პრობლემის მოგვარებაში ბაშელებს სამტრედიის მუნციპალიტეტის გამგეობა დაეხმარა. ჩვენმა რესპონდენტმა წარმატებით გაიარა კონკურსის ეტაპები. მან კულტურისა და ეკონომიკის ინსტიტუტი და უმაღლესი კომერციული სკოლა რუსეთში დაამთავრა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პროფესიით მცირე ხანს იმუშავა. მას შემდეგ პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა. ბატონი მალხაზი ბაშის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში სტიქაროსანია.



"მჯერა, ღვთის ნებით, პრობლემებს ერთად დავძლევთ, ჩემი ოცნება იყო, ბაშში მართვის სადავეებთან მოსულიყვნენ მორწმუნე ადამიანები, ეს ოცნება ამიხდა. მჯერა, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება ერთად დგომით ხალხს პრობლემებს მოვუგვარებთ, ჩვენ საქმის საკეთებლად ვართ მოსულნი და არა რეგალიების მოსაპოვებლად. თანამდებობაზე ჩემი მოსვლის მიზანი მხოლოდ საქმის კეთებაა". _ გვითხრა ჩვენმა რესპონდენტმა.

მუნიციპალიტეტის გაგებლის წარმომადგენელი სოფელ ბაშში, რამაზ კაშია მალხაზ ნაცვლიშვილს ასე ახასიათებს:

"მე განსაკუთრებულად მინდა გავუსვა ხაზი მალხაზის პიროვნების ერთ თვისებას _ ერთგულებას. სოფლის ახალგაზრდები სოფლის ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ შევარდნაძის, მერე "ნაცმოძრაობის" ხელისუფლებას დავუპირისპირდით. ერთად ჩავატარეთ რამდენიმე არჩევნები. ვიყავით "კონსერვატიულ პარტიაში", ბაშის ოპოზიცია ძალიან აქტიურობდა სერიოზულ შედეგს ვაღწევდით. ფეხით და ველოსიპედით დავდიოდით და მაინც, კარგ შედეგებს ვაღწევდით. მერე რომ მოვიდა "ქართული ოცნება", ბატონი ბიძინა, შედეგიც დაიდო. სამწუხაროდ, პირველმა არჩევნებმა ძალიან გაგვანაწყენა. ცოტა იმედებიც გაგვიცრუა, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები ბაშში "ნაციონალურმა" მოძრაობამ მოგვიგო, მაგრამ მთელი ქვეყნის მასშტაბით გავიმარჯვეთ. ასეთი ერთგული კაცი საქმისა და მეგობრებისა, მეორე არ მეგულება. იმ არჩევნების შემდეგ ძალიან გავაქტიურდით, ბატონი მალხაზი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იყო სოფელ ბაშის 27-ე უბანზე საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. მალხაზს გავუწიე რეკომენდაცია, მან ბრწყინვალედ გაიარა კონკურსი, აიღო მაღალი ქულები და დაინიშნა თანამდებობაზე".

# ადგილობრივ ორგანიზაციებს უნდა ველაპარაკოთ ბევრი

ნინო ნანიტაშვილი

ახალმა კომიტეტმა პარტია "რესპუბლიკელების" თავმჯდომარედ ძველი კადრი, იმედა გოგავა აირჩია.

რამდენიმე დღის წინ სამტრედიას პარტიის თავმჯდომარე, ხათუნა სამნიძე ოფიციალურად სტუმრობდა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საკონცერტო დარბაზში მან ადგილობრივი ორგანიზაციის წევრებთან შეხვედრა გამართა, პარტიულ კრებაზე განვლილი ერთწლიანი საქმიანობის შესახებ თავმჯდომარის მოხსენება მოისმინეს. მოგვიანებით არჩევნები გაიმართა. დაასახელეს და ღია კენჭისყრით აირჩიეს კომიტეტის 6 და სარევიზიო კომისიის 3 წევრი. დასახელდა თავმჯდომარის კანდიდატურა. უმრავლესობამ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ იმედა გოგავა აირჩია:



პარტიული კრების ბოლოს "სამტრედიის მაცნემ" "პარტია რესპუბლიკელების" თავმჯდომარეს, ხათუნა სამნიძეს ინტერვიუ სთხოვა.

**– ქალბატონო ხათუნა, როგორ შეაფასებდით სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის მიერ განვლილ საანგარიშო პერიოდს?**

– ეს ერთი წელი არ იყო ადვილი წელი, როგორც სამტრედიაში, ასევე, მთელ რესპუბლიკაში. ჩვენი პარტია კოალიციურად მუშაობს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები აღმოჩნდა ის არჩევნები, რომელმაც კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, დაადასტურა, რომ "ქართული ოცნება", როგორც კოალიცია, ადგილობრივ დონეზეც ნდობით სარგებლობს. ეს იყო რიგით მესამე არჩევნები, რითაც ჩვენ ყველა დონეზე ხელისუფლებაში უმრავლესობა მოვიპოვეთ. ეს ბოლო წელი იმ თვალსაზრისითაც საინტერესოა, რომ უკვე საკრებულოებში გამოჩნდა კოალიციური მუშაობა. "ქართულ ოცნებას" უკვე ჰყავს ყველა საკრებულოში უმრავლესობა, რომელიც შედგება 5-ვე პარტიის წარმომადგენლისგან.

მიხარია, რომ სამტრედიში არის თანამშრომლობა. ყველა რაიონში ეს ასე არ არის. ამ ერთი წლის მანძილზე ადგილობრივ ხელისუფლებაში. ერთმანეთის ერთგვარი შემოწმება იყო, რამაც ბევრი პრობლემა გამოკვეთა. ჩვენ არ გვაქვს კოალიციური მუშაობის გამოცდილება, ახლა ვსწავლობთ, ახლა ვიდგამთ ფეხს. მიხარია, რომ სამტრედიაში შემდგარია ეს თანამშრომლობა. არ არის ყველა რაიონში ისეთი სიტუაცია, რომ კარგად თანამშრომლობდნენ ჩვენი პარტნიორები, ზოგან სიტუაცია პრობლემურია, ზოგან მომავალზე ორიენტირებულია. სწორედ ასეთი კარგი თანამშრომლობაა სამტრედიის თვითმმართველობა. ასეთი იყო ბატონი იმედას ანგარიში. დარწმუნებული ვარ, ამგვარი პარტიული შემადგენლობით და ამ გამოცდილებით ჩვენ შევძლებთ კოალიციურ მუშაობაში წვლილი შევიტანოთ.



**– თუ კადრებს გადავხედავთ, როგორც საკანონმდებლო ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში, კოალიციაში "რესპუბლიკურ პარტიას" თითქმის ლიდერის პოზიცია უკავია.**

– ჩვენ ყოველთვის ძლიერი პარტნიორები ვიყავით კოალიციაში. მე არ ვფიქრობ, რომ ახალი, ორი მინისტრის დამტკიცებით კიდევ გაძლიერდა პარტია. ვფიქრობ, რომ ჩვენ თავიდანვე ვიყავით ძლიერი და სანდო პარტნიორები, ასევე ვფიქრობ, რომ მანამდეც უნდა ყოფილიყო უფრო მეტი მინისტრი. რესპუბლიკური პარტიიდან. ვისურვებდი, მაგრამ ასე არ იყო. მოლაპარაკების შედეგად სხვა ვითარება გვქონდა. ვიცით, რომ თუ ვართ კოალიციაში, ეს კოალიციურობა უნდა ჩანდეს სახელისუფლებო დონეზე, პასუხისმგებლობის განაწილებაზე.

კარგი მაგალითი რესპუბლიკელებმა მისცეს.

**– სხვა რაიონებში რა სიტუაციაა, არ ვიცი, სამტრედიის მაგალითზე კი შემიძლია, ვიმსჯელო, "რესპუბლიკური პარტია" ერთი და იგივე ლიდერს "საეჭვოდ" ინარჩუნებს. ცხადია, მხედველობაში მყავს იმედა გოგავა, რომელიც შეუცვლელი პირველი რესპუბლიკელი გამოდგა.**

– ეს არის სრულად ადგილობრივი ორგანიზაციის გადასაწყვეტი, ჩვენ არ ვერევით. სწორედ ამაში გამოიხატება, რომ ჩვენთან შიდა პარტიული დემოკრატია მართლაც მაღალი ხარისხისაა. ბევრი რაიონული ორგანიზაცია გვაქვს, სადაც თავმჯდომარე შეიცვალა. ახალი თაობა წამოვიდა, რომელსაც ნაკლები გამოცდილება აქვს, მაგრამ გვერდით უდგათ ძველი თავმჯდომარეები. სტატისტიკურად კომიტეტის შემადგენლობა იცვლება და თავმჯდომარეებიც იცვლებიან, მაგრამ არის რაიონები, ისევ უნდათ, რომ ძველი თავმჯდომარეები ჰყავდეთ. ორი კვირის წინ რაჭაში ვიყავი. შეიცვალა. არ მოველოდი. ორი ადამიანი გავიდა კომიტეტში, ორივემ დაასახელა თავისი კანდიდატურა, იყო რამდენიმე კენჭისყრა, ხმები გაიყო.

ყველა თავმჯდომარესთან მჭიდრო ურთიერთობა და კომუნიკაცია გვაქვს ვფიქრობ და ღრმად ვარ დარწმუნებული, პარტიის წარმატება შეუძლებელია ორგანიზციების აქტიურობის გარეშე, მე ძალიან ბევრ დროს ვკარგავ ადგილობრივი პარტიის წევრებთან ურთიერთობისთვის, ჩვენ არ გვყავს ცალკე გამოკვეთილად რეგიონალური მდივანი, როგორც ეს ყველა პარტიას ჰყავს ხოლმე. მიუხედავად ჩემი დატვირთული გრაფიკისა, საკრებულოს წევრიც ვარ, პარტიის თავმჯდომარეც, მინდა, პირადად მქონდეს რეგიონებთან ურთიერთობა. პარტიის ფეხზე დასადგომად, გასამყარებლად, გადაწყვეტილებების სწორად მისაღებად, პულსი რომ გვქონდეს, რას ფიქრობს საზოგადოება. კრიტიკული რომ ვიყოთ საკუთარი თავის მიმართ, ადგილობრივი ორგანიზაციებს უნდა ველაპარაკოთ ბევრი".

იმედა გოგავა – "პარტია რესპუბლიკელების" სამტრედიის ორგანიზაციის თავმჯდომარე: "დღეს სამტრედიაში, ადგილობრივმა რესპუბლიკელებმა რიგით VIII-ე კონფერენცია ჩავატარეთ, რომელსაც ორგანიზაციის წევრები და პარტიის თავმჯდომარე, ხათუნა სამნიძე დაესწრო. განვიხილეთ და გავაანალიზეთ გასული ერთი წლის მუშაობა. აღსანიშნავია, რომ სამტრედიელმა რესპუბლიკელებმა წელი საუკეთესო შედეგით დავასრულეთ. შედეგად, პარტიის ცენტრალური ოფისიდან სპეციალური სიგელით დავჯილდოვდით.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ვაპირებთ, კიდევ უფრო გაძლიერებას, მეტ აქტიურობას და აქტუალური საკითხების წინა პლანზე წამოწევას. ზოგადად, პარტია მობილიზებულია, იყოს სტრუქტურულად ყველაზე გამართული. ორგანიზებული, კომპეტენტური, ავტორიტეტული, საქმიანი, მომავალზე ორიენტირებული ადამიანებით დახუნძლული. გარწმუნებთ, რომ ადგილობრივ რესპუბლიკელებს შეგვწევს ძალა და გვყოფნის კომპეტენცია, რომ ყველაფერი ზემოთქმული სიტყვიდან საქმედ ვაქციოთ!"

# თბილისის „ჩიფსის" ქარხანას სამტრედიული კარტოფილით მოამარაგებენ

ლევან გაბეჩავა

მანამ კი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის, მამუკა კვანტალიანის წინადადებით საჯავახოს ვეწვიეთ.

ფერმერმა კახა კუტალაძემ 7 ჰექტარი ფართობი აიღო იჯარით, აქედან 6 ჰექტარზე სათესლე კარტოფილი, ერთზე კი ხახვი დაითესა, ჰექტარზე საშუალოდ 35 ტონა კარტოფილის მოსავალს ელიან ფერმერები.

– კარტოფილს, როგორც მოგეხსენებათ, მეორე პურს ეძახიან. იგი ყველგან "პოპულარულია", უამრავი კერძი მზადდება მისგან. ყურადღებამისაქცევია ისიც, რომ ფართობი, რომელზედაც სიმინდი ითესება, მხოლოდ 4 თვეს არის დაკავებული, მერე კი უქმადაა დატოვებული, თან ჰექტარზე 8 ტონა მოჰყავთ საშუალოდ. კარტოფილი კი ორმოსავლიანია, თან როგორც ვთქვით, 35-40 ტონა მოდის ჰექტარზე, ასე რომ, ეს საქმე ძალზე მომგებიანია არა მარტო ფერმერებისათვის, მოსახლეობისთვისაც. – გვეუბნებიან ფერმერები მერაბ ძიძიგური და ლევან ლორია.

ჩამოცხა, მზე ზენიტშია, სპეცტექნიკა გაჩერდა, მექანიზატორებმა ნაძვის ჩრდილს შეაფარეს თავი. ამ კეთილი საქმის ერთ-ერთი ინიციატორი, ფერმერთა პარტნიორი, გერმანელი ჰაინრიხ რონერბერგიც მათთან ერთად იყო.

საქართველოთი მოხიბლულმა გერმანელმაც გაამყარა ქართველი ფერმერების აზრი კარტოფილის თესვის უპირატესობაზე და ა. შ.

ითქვა ისიც, რომ მოსახლეობა საოჯახო მეურნეობაში დასათეს კარტოფილს ყოველგვარი შემოწმების გარეშე ყიდულობს და ხშირად ხელმოცარულნი რჩებიან.

აღინიშნა, რომ წელს, ამ ფართობზე სათესლე კარტოფილი პირველად დაითესა, ფერმერები მიწის ფართობს ეძებენ, რათა დიდი ფართობიდან დიდი მოსავალი მიიღონ.

მოლაპარაკება მიმდინარეობს თბილისის "ჩიფსების" მწარმოებელ ქარხანასთან, რომ იგი სამტრედიული კარტოფილით მომარაგდეს.

ქართველმა ფერმერებმა გერმანელი პარტნიორის (გერმანული მხარის) თანადგომაზეც თქვეს, მათ რომ აღმოუჩინეს საჭირო და აუცილებელი შხამ-ქიმიკატებით უზრუნველყოფის საქმეში. ეს კი დადებითად აისახება, როგორც საჰექტრო მოსავლიანობაზე, ასევე, მომხმარებელთა ჯანმრთელობაზე. ადგილზე, სამტრედიაში კარტოფილის გადასამუშავებელი საწარმოს გახსნა არცთუ შორეულ პერსპექტივად ესახებათ ქართველ ფერმერებს და მათ გერმანელ პარტნიორს, რაც ადგილობრივ მუშახელსაც დაასაქმებს და ამ მეტად საჭირო პროდუქტითაც უფრო მეტად უზრუნველყოფს ქართულ ბაზარს, მომხმარებელს.

ნაძვის ჩრდილქვეშ "წუთშესვენებაზე" ისიც ითქვა, რომ წარმოებული პროდუქციის ლაბორატორიული შემოწმება, ანუ ლაბორატორიასთან წვდომა ფერმერებისათვის ამჟამად ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა მამუკა კვანტალიანმა მათ ამ და რიგ საკითხებში დახმარება და თანადგომა აღუთქვა.





არნახული ტემპით ვითარდება ტექნოლოგიური პროცესები. თუ 20-30 წლის წინ კარტოფილს გლეხები პრიმიტიული წესით, ხელით იღებდნენ, დღეს სპეცტექნიკამ ისინი დამქანცველი შრომისგან იხსნა. იხუმრეს კიდეც, მალე თოხი სამუზეუმო ექსპონანტი გახდებაო.

ერთი სიტყვით, 22 ივლისს საჯავახოდან ერთობ კმაყოფილები დავბრუნდით. მალე ქართულ ბაზარზე (და არა მარტო) სამტრედიულ კარტოფილს ვიხილავთ.

# ცოფი გვაკლდა...



ქალაქ სამტრედიის ორჭადრებისა და მანჯგალაძის ქუჩები, სოფელი დიდი ჯიხაიში ამ დღეებში ყურადღების ცენტრში უსიამოვნო გარემოების გამო მოექცნენ. აქ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ცოფის ვირუსით დასნებოვნება დაფიქსირდა. შესაბამისად, ორჭადრების ქუჩაზე 400, მანჯგალაძის ქუჩაზე 200, ხოლო დიდ ჯიხაიშში 600 ცხოველი აიცრა. ვაქცინაცია უფასოა.

– მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს პროფილაქტიკური ვაქცინაცია ძაღლებსა და კატებზე, ვთხოვთ მოსახლეობას, გაგებით მოეკიდონ ვაქცინაციის პროცესის ჩატარებას და უზრუნველყონ მათ მფლობელობაში არსებული ცხოველების აცრა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი 100 ლარით დაჯარიმდებიან, განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური წარმომადგენლობის სპეციალისტმა სამტრედიაში, ექიმმა ვეტერინარმა ზაზა მეგრელიშვილმა.

დაბოლოს, რამდენად უნდა გვქონდეს თვითდამშვიდების უფლება მომრავლებული მაწანწალა ძაღლების პირობებში ქუჩაში ფეხით მოსიარულე სამტრედიელებს?

როგორ შევიტყოთ, ბაღებში, სკვერებში ჩრდილს თავშეფარებული ჩვენი ოთხფეხა მეგობრიდან რომელია ცოფიანი და რომელი ჯანმრთელი?

ეს და სხვა მრავალი კითხვა კვლავ უპასუხოდ რჩება. არაფერი ბედენაა ის, რომ აცრები უფასოა, ჰოდა, ვერიდოთ მაწანწალა ძაღლებს!

ლევან გაბეჩავა

სამტრედიის მაცნე



# უნდა ვიყოთ რეალისტები და ვთქვათ, რომ...

**თეა ბაბუნაშვილი**

***მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი კახიანი საპარლამენტო არდადეგებზე ამომრჩეველთან შესახვედრად და მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების სანახავად ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად სამტრედიას კიდით-კიდემდე შეუყვა. სოფელ ღანირის ორღობეში, ხის ჩრდილში დაჩქარებულ რეჟიმში მოვახერხეთ მასთან საუბარი, მაგრამ ამჯერად არა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, იმ საკითხებზე ვკითხეთ, საზოგადოებას განგაშის ზარის შემოსაკვრელად რომ მიაჩნია. "იბიარდობის" გარეშე, აბა, როგორ იქნებოდა და ეს ინტერვიუ სახელდახელოდ ჩაიწერა...***

*_ მავთულხლართებით გადაღობილი საზღვრები ბოლო პერიოდში განგაშის მიზეზი ხშირად ხდება. მის იქეთ სულ უფრო მეტი ქართული მიწის ნაწილი ექცევა. რამდენად ადექვატურია ხელისუფლების შემხვედრი ქმედებები და რა შედეგები შეიძლება მოიტანოს მან პრობლემის მოსაგვარებლად?*

_ ყველაზე მნიშვნელოვანი დღეს ოკუპირებული ტერიტორიები და ბოლო დროს კიდევ უფრო გადმოწეული საზღვრებია. ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკური მიზანიც სწორედ ისაა, მეგობარი ქვეყნების დახმარებით ეს საკითხი გადაიჭრას. უნდა ვიყოთ რეალისტები და ვთქვათ, რომ ეს მარტივი თემა არ არის. იგი გუშინ და გუშინწინ არ გაჩენილა და დღეს-ხვალ იქნებ ვერ მოგვარდეს. საკითხი 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა. ის, რაც დღეს ამ ტერიტორიებთან მიმართებაში ხდება, რბილად რომ ვთქვათ, იმ არასწორი პოლიტიკის შედეგია, რასაც წინა ხელისუფლება ატარებდა. ბუნებრივია, ძალიან აღელვებს ჩვენს საზოგადოებას, თუნდაც, ცოტა ხნის წინ ახალი რესპუბლიკის შექმნის მაუწყებელი რაღაც ბანერის მაგვარი მავთულხლართებთან...

**_ ის, ჟურნალისტებმა რომ წააქციეს, არა?**

_ დიახ! ჩვენმა მხარემ სათანადო რეაგირება მოახდინა ყველგან, სადაც ხმა მიუწვდებოდა...

**_ ხომ არ გეჩვენებათ, რომ ლოიალურია რეაგირების ამგვარი ფორმა და ასე მიწვდენილი ხმა...**

_ ასე ვერ ვიტყოდი. საგარეო უწყება ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობს. საზოგადოება ინფორმირებულია ამ ღონისძიებებზე.

**_ თუ ასე არ არის და, რა გვიჭირავს ხელში 2012 წლის შემდეგ ამ კუთხით მიღწეული?**

_ ოკუპაცია არ არის ერთი დღის ფაქტი. ეს არის პროცესი, რომელიც დროის გასვლის შემდეგ კიდევ უფრო მძაფრდება. წინა ხელისუფლების პოლიტიკამ მოიტანა ის, რომ თუ 2008 წლამდე ასეთი საზღვრები არ არსებობდა და ქართულ-ოსური სოფლები შერწყმულიც კი იყო, დღეს მავთულხლართები ყოფს მათ.

ის, რაც პარლამენტს შეუძლია, არის პოლიტიკის განსაზღვრა. მე მნიშვნელოვან რეზოლუციას შეგახსენებთ, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით მივიღეთ. ასე რომ, ხელისუფლება აკეთებს ყველაფერს, რაც უნდა გააკეთოს და რაც სწორია. ჩვენ განსხვავდებით წინა ხელისუფლებისგან იმით, რომ პოპულიზმზე არ ვაგებთ მუშაობას, რომელიც იქნებ იმ მომენტში მომგებიანი იყოს, მაგრამ დროთა განმავლობაში ქვეყანა დაღუპოს.



**_ EBRD-ობა პარლამენტში... სოსო ჯაჭვლიანი უმრავლესობიდან კიდევ ერთხელ გახდა საზოგადოების "აღფრთოვანების" მიზეზი.**

_ სიმართლე გითხრათ, არ მეგულება პარლამენტის წევრი, რომელმაც არ იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა. მათ შორის, ბატონმა სოსომაც, რომელსაც, როგორც თავად განაცხადა, ვერ გაუგეს, სიტყვა სხვა კონტექსტში იხმარა.

**_ ამ კითხვას გიორგი კახიანს შეგნებულად ვაძლევ. შევეცადოთ ვიყოთ გულწრფელები _ რამდენად დამაკმაყოფილებელია საქართველოს პარლამენტში დეპუტატთა ინტელექტუალური დონე. და თუ რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ სიმპათიად და მიკერძოებად არ ჩამომართმევთ, ხომ არ სჯაბნის ამ კუთხით უმრავლესობას უმცირესობა?**

_ იდეალური, ალბათ, არავინაა, თუმცა ვთვლი, რომ საქართველოს პარლამენტში დღეს არიან ადამიანები, კონკრეტულ დარგებში განსაკუთრებული ცოდნა და გამოცდილება რომ აქვთ. აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი კარგად არის დაკომპლექტებული. მიუხედავად ამისა, იქნებ ყველა ერთნაირად ვერ იყოს ჩართული საპარლამენტო საქმიანობაში. ბუნებრივია, გამოცდილება "ნაციონალებს" მეტი აქვთ...

**_ მე ინტელექტი ვიგულისხმე... და აქვე მათ კორექტულობასაც გავუსვათ ხაზი.**

_ პარლამენტის წევრის ეთიკის დარღვევის შემთხვევები იყო ამ პარლამენტში. ასეთი არაერთი გვახსენდება, დაწყებული არაეთიკური და არაკორექტული მიმართვებით, ხელჩართული ჩხუბით დამთავრებული. პარლამენტი ნამდვილად არ არის ის ორგანო, ამ ფორმით რომ უნდა წყდებოდეს საკითხები. კონკრეტულ წევრებზე ვერ ვისაუბრებ...

**_ ვერ თუ არ ისაუბრებთ...**

_ ნებისმიერი ადამიანის შეფასების კრიტერიუმია ის, თუ რა გააკეთა. ვთვლი, რომ ამ პარლამენტმა, არჩევის დღიდან დღემდე მიიღო ძალიან სერიოზული და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. და რადგან იგი, პირველ რიგში, კანონშემოქმედებითი ორგანოა, მიიღო კანონები, რომლებსაც რეფორმატორული ხასიათიც კი აქვს.

**_ დიდი ხანია, ამომრჩეველი არ გინახავთ, საკმარისია ამგვარი ინტენსივობით თქვენი ვიზიტი მუნიციპალიტეტში საარჩევნო დაპირებების შესასრულებლად?**

_ სრულიად ვიღებ თქვენი კითხვის პათოსს. პარლამენტში ძალიან გადატვირთული რეჟიმიდან გამომდინარე, აქ ვიზიტი დამიგვიანდა. სამტრედიაში, ჩემს სახლში ვცხოვრობდი ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ ყოველ დღე ქუთაისში მიწევდა ყოფნა და აქამდე ველარ ჩამოვაღწიე, რომ მოსახლეობას შევხვედროდი. საპარლამენტო არდადეგები გამოცხადდა და ამის შესაძლებლობა გამიჩნდა. უკვე აქ ვარ და ჩემი არყოფნით გამოწვეული ვაკუუმის შევსებას შევეცდები.

# რა კარგია ანაკლია...



ზურა ახობაძე, ლუკა ძიგუა რაიონის საჯარო სკოლების იმ 23 მოსწავლეს შორის არიან, 27 ივლისს ანაკლიაში რომ გაემგზავრნენ დასასვენებლად.

_ საქართველოს მთავრობის ამ განკარგულებას მეტად დადებითი მნიშვნელობა აქვს, მოსწავლეები 10 დღით ანაკლიაში დაისვენებენ, ჯანმრთელობას გაიკაჟებენ, გონივრულად გაერთობიან, გაიცნობენ, შეიძენენ ახალ მეგობრებს და უდავოდ კმაყოფილნი დაბრუნდებიან. _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა სპეციალისტმა, პედაგოგმა ალექსანდრე თევზაძემ.

მოსწავლე-ახალგაზრდები მშობლებმა, სკოლებისა და მუნიციპალიტეტის თავკაცებმა გააცილეს.

ხალისიან დასვენების დღეებს ვუსურვებთ ახალგაზრდებს!

***ლევან გაბეჩავა***




# როცა [illegible] არაა [illegible]

სამტრედიის ენციკლოპედიის გამოცემით რომ საშვილიშვილო საქმე გაკეთდა, უდავოა. იგი არაა უშეცდომო, მაგრამ თვით უდიდეს გამოცემებსაც ახლავს შემჩნეული შეცდომების გასწორება, ასე რომ, აქ უჩვეულო არაფერია.

დღეს ერთ გარემოებაზე შევაჩერებთ ყურადღებას.

როცა გადაწყდა ენციკლოპედიის გამოცემა, საინიციატივო ჯგუფმა და სარედაქციო საბჭომ არაერთხელ მიმართეს თხოვნით, წინადადებით მოსახლეობას, საჯარო სკოლების, შპს-ების, სსიპ-ების ხელმძღვანელებს საინფორმაციო საშუალებებით, რომ მათთვის მიეწოდებიათ ღირსეულ ადამიანთა ბიოგრაფიები, თემის, უბნის, სოფლის ისტორია და ა. შ.

ბევრმა თხოვნა ყურად არ იღო, ალბათ, მავანთ ისიც ეგონათ, ამ საქმეს დასასრული არ ექნებოდა, იყვნენ (აღმოჩნდნენ) ისეთებიც ბოღმამ, ეგოიზმმა რომ შეიპყრო, სადაც მე ვარ, იქ მას რა უნდაო და... ასე "დაავიწყდათ (?!)" ღირსეულნი ენციკლოპედიაში შესაყვანად.

გავიდა დრო, თანდათან მატულობს სამდურავის მთქმელთა რიცხვი...

პირად საუბრებში, წერილებში ხშირად გამოთქვამენ ერთი შეხედვით მართებულ საყვედურებს, თუ რატომ არაა შეტანილი ენციკლოპედიაში ესა და ეს პიროვნება, არადა, ენციკლოპედიის გამოცემის საინიციატივო ჯგუფმა, სარედაქციო საბჭომ, როგორც აღვნიშნე, არაერთხელ გააკეთა შესაბამისი განცხადება მოსალოდნელი უხერხულობის თავიდან ასაცილებლად.

რაშია საქმე?

იმაში, რომ თავის დროზე ყურადღებით არ მოვეკიდეთ თხოვნას, ახლა კი საყვედურს არ ვიშურებთ საშვილიშვილო საქმის თაოსანთა მიმართ.

არცთუ შორეული წარსული გამახსენდა ამ წერილის წერისას.

ორი თვალსაჩინო (თანაბარდამსახურებიანი) ღვაწლმოსილი ადამიანი რომ გარდაიცვალა და მხოლოდ ერთის ოჯახს გამოუცხადეს თანაგრძნობა იმ მარტივი და უმსგავსო გარემოების გამო, რომ მასზე მაშინ რაიონის ხელმძღვანელ ორგანოში მაღალ თანამდებობაზე დასაქმებული პირი ყოფილა გაბრაზებული?! არ აწყენინეს "დიდ კაცს".

რას ვიზამთ, დიდი კაცები უფრო ხშირად პატარაკაცობენ!

***ლევან გაბეჩავა***

# 2 აგვისტო წმინდა ილია მართლის ხსენების დღეა!

## საქართველოსთვის მლოცველი წმინდანი



*სნებაშეყრილ ჩვენ ერს უფალი ძნელბედობის ჟამს მხსნელს მოუვლენდა მარადჟამს.*

***XIX** საუკუნის მრავალ ჭირმოძალებულ საქართველოს ილია ჭავჭავაძე მოევლინა მშველელად, მხსნელად. ილიამ თანამოაზრეებთან ერთად განგაშის ზარი ჩამოჰკრა და მიძინებულ ერს მოქმედებისაკენ მოუწოდა.*

*სათავადაზნაურო ბანკი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ახლად ფეხადგმული გაზეთების მოძლიერება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, არა ერთი და ორი პრაქტიკული საქმე, ერის სასიცოცხლო მნიშვნელობა რომ ჰქონდა...*

*მრავალმხრივ განათლებული ადამიანი მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა.*

არ იცოდა პირველი და მეორეხარისხოვანი საქმე.

თითქოს განგებამ დაუკავშირა ორი ბუმბერაზი მოაზროვნის, ილიასა და აკაკის ბედი ერთმანეთს.

ორივემ ერთგულად ზიდეს ერის ჭაპანი ნახევარი საუკუნის მანძილზე და შემდეგ ვალმოხდილნი წავიდნენ ზეციურ საქართველოში.

არ მომხდარა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში მნიშვნელოვანი რამ, ილიასა და აკაკის საკუთარი მოსაზრება რომ არ გამოეთქვათ.

კალმით, ბრძოლა დაისახეს მიზნად და იბრძოდნენ კიდეც.

როგორც ერთის, ისე მეორის ბასრი კალამი არ ინდობდა ავის მზრახველებს, სამშობლოს მოღალატეებს, ერის გამყიდველებს, მედროვეებს, ადამიანებს, რომელთაც ''კერძო დუქნებად მიაჩნდათ ქვეყანა''.

ილია ჭავჭავაძემ თვალსაჩინო როლი შეასრულა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, როგორც ამ მოძრაობის მამამთავარმა, მედროშემ და წინამძღოლმა.

იცოდა ბრძენკაცმა სხვათა იმედად ყოფნა რომ არ შეიძლებოდა, ერის დაღუპვის წინაპირობა რომ იქნებოდა და თითოეულ ქართველს ხელის გამოღებისაკენ, შრომისა და გარჯისაკენ მოუწოდებდა.

ამოუწურავი თემაა ილიას სამწერლო მოღვაწეობა. ზოგადსაკაცობრიო ნაწარმოებებით გაამდიდრა მან მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა. თითოეული ილიასეული მარგალიტი ფასდაუდებელი ეროვნული შენაძენია.

_ საქართველოში ყველაფერს გაპატიებენ ნიჭიერების გარდა, _ მართალია, ილიას შემდეგ ითქვა ეს სიტყვები, მაგრამ არც ილიას აპატიეს ნიჭიერება, სამშობლოსა და ერის სიყვარული და ნათელ შუბლში ტყვია დაახალეს.

ესროლეს ილიას და ესროლეს საქართველოს!

მოჰკლეს ილია და ვერ მოჰკლეს საქართველო!

1907 წელი.

აგვისტო იყო მაშინ, როცა ''საუკუნის ცოდვა'' რისხვად დაატყდა საქართველოს.

_ არ უთხრა დიდო ილია დიმიტრი ყიფიანს ქართველის ხელით რომ ხარ მკვდარიო, _ სიმწრითა და სირცხვილით დაიტირა თურმე უცნობმა გლეხის ქალმა სამარის პირას მთაწმინდაზე ილია და რა იცოდა იმ ქალმა, რომ ათასობით ქართველის აზრი რომ გამოხატა მისდა უნებურად.

მასვე უთქვამს შვილისთვის, ნატყვიარ შუბლზე ეამბორებია ილიასათვის, რომელზედაც მუხის ფოთოლი დაეფინათ. თუმცა, რა ფოთოლს უნდა დაეფარა საშვილიშვილო ცოდვა.

1987 წელი.

150 წელი გასულიყო ილიას დაბადებიდან, 80 _ მისი მუხანათური მკვლელობიდან.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდმა ერისა და ქვეყნის წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა და წმინდა ილია მართალი უწოდა. დაიწერა შესაბამისი ტროპარი, ხატი.

მას შემდეგ ზეციურ წმინდანთა დასში დავანებული წმინდა ილია მართალი უფალთან გვშუამდგომლობს ქართველ ერს და ისევ და ისევ მის სათაყვანებელ სამშობლოზე ლოცულობს.

**ლევან გაბეჩავა**

# ''სამტრედიის მაცნე''

**ლევან გაბეჩავა**

***5 ნოემბერს 85 წელი სრულდება სამტრედიაში გაზეთის დაარსებიდან.***

***დღეს იმ ორ ადამიანს გავიხსენებთ, ათწლეულების მანძილზე გაზეთთან რომ თანამშრომლობდნენ და საზოგადოებაშიც ავტორიტეტით***

***სარგებლობდნენ. დიდი ხანია, ისინი განერიდნენ წუთისოფელს...***

### ''ჭაგნელი ბზიკი''

ათიოდე წლის წინ სარწმუნო წყაროთი შევიტყვეთ, რომ ''ჭაგნელი ბზიკი'' ჭაგანში მცხოვრები ბატონი ნესტორ შენგელიას ფსევდონიმი ყოფილა, რომელიც რედაქციასთან, გაზეთთან მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს თანამშრომლობდა.

მანკიერებათა მხილება, სასარგებლო, საზოგადო საქმეზე თავის ამრიდებელთა გამოაშკარავება, ბრძოლა ფასდამახინჯებების, მიწერების, ფორმალიზმის, სამშობლოს მტრების წინააღმდეგ... ''ჭაგნელი ბზიკის'' კალამს გაუკენწლავი არ რჩებოდა.

ყოველთვის მწარე იყო პირში ნათქვამი სიმართლე, ამ დამაშვრალი კაცის აზროვნება მხოლოდ უარყოფითი ამბების გაშუქებაზე არ იყო ორიენტირებული.

ძველისძველ გაზეთებში უხვად შეხვდებით ხოტბის შემცველ სტრიქონებს, რომელთა ადრესატებიც მკლავმოუღლელი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენლები, მოწინავე რკინიგზელები, წარჩინებული მოსწავლეები არიან.

ასე იქცა გაზეთის არსებობის ისტორიის ლამაზ მონაკვეთად ''ჭაგნელი ბზიკის'', ბატონ ნესტორ შენგელიას გაზეთთან თანამშრომლობის საუკუნის მეოთხედი.

### ''ჩვენთვის დამჯილი ქაღალა ვაჟკაცი''

ასე უწოდეს თავის დროზე ბატონ სამსონ კაშმაძეს, ბაშელ კაცს, პირნათლად რომ მოიხადა საამქვეყნო ვალი.

მძიმედ დაჭრილი, დასახიჩრებული დაბრუნდა მეორე მსოფლიო ომიდან.

დიდი ხნის მანძილზე, ედგა სათავეში ბაშის კულტურის სახლს.

ინტელიგენტი კაცი აქტიურად ეხმაურებოდა ქვეყანაში, რაიონში, მშობლიურ სოფელში მიმდინარე ყველა სასიკეთო წამოწყებას, მოკლე, ლაკონური ინფორმაციებით ღირსეულთ ხოტბას ასხამდა, ფელეტონებით ჰკენწლავდა უმსგავსოებს...

60 წელზე მეტხანს გახლდათ ბატონი სამსონი ''სოციალისტური შეტევას'', ''წინსვლას'', ''სამტრედიის მაცნეს'' შტატგარეშე კორესპონდენტი. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მან თანასოფლელებთან ერთად უდიდესი როლი შეასრულა სოფელ ბაშში შინმოუსვლელთა მემორიალური მუზეუმის გახსნის საქმეში.

საოცრად მოკრძალებული ჭარმაგი ხშირად მოინახულებდა ხოლმე მის თანასოფლელს, ჩვენს უფროს კოლეგას ოთარ ნაფეტვარიძეს რედაქციაში, ამ გარემოების გამო იგი კიდევ უფრო ახლობელი გახდა რედაქციისათვის. ძნელია, აუღელვებლად წაიკითხო სამამულო ომის თემატიკაზე ნაწერი ბატონი სამსონის წერილები.

ციცქნა მოგონებით უდიდესი მადლიერება გვსურს გამოვხატოთ გაზეთის ერთ-ერთი პირველი ''გარე კორესპონდენტების'' ბატონების, ნესტორ შენგელიას (ჭაგნელი ბზიკი) და სამსონ კაშმაძის მრავალწლიანი თანამშრომლობის გამო.

წერილი მეექვსე

# სამტრედია ჩემი

**ლევან გაბეჩავა**

**''ყველა სახლზე სამტრედეა,<br>სიხარულის მჩენი,<br>სამტრედია, სამტრედია _<br>სამტრედია ჩემი...''**

***გრ. ჯულუხიძე***

***ხალხის ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური, ყოფითი პირობების გაუმჯობესება ყველა ეპოქაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა.***

***ქალაქის მოახლოებულ იუბილესთან დაკავშირებით გადაწყდა, თვალი გადაგვევლო, თუ რა ვითარება იყო ამ მხრივ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში სამტრედიაში.***

***მეოცე საუკუნის დასაწყისამდე სამტრედიაში ავადმყოფებს ძირითადად მკითხავები და ექიმბაშები უწევდნენ დახმარებას. მკურნალობის საქმეში არაპროფესიონალთა ჩარევის წინააღმდეგ რომ გამოდიოდა საზოგადოების პროგრესული ნაწილი, იმასაც ითვალისწინებდა, რომ რიგ შემთხვევებში ხალხურ მედიცინას დიდი სიკეთის მოტანა შეეძლო.***

_ ახალგაზრდა ექიმებმა უნდა შეისწავლონ ხალხური ექიმობაც, რომელიც ხანდახან იმისთანა უებარ საშუალებას აწოდებს ხალხს, რომლის აღმოჩენა არ ძალუძს სამეცნიერო დისერტაციებსაც. _ წერდა დეკანოზი ერმალოზ კანდელაკი და განაგრძობდა, _ განა საჭირო არ არის, ქიმიურად იყოს გამოკვლეული ხალხური წამალი? განა ეს არ უნდა აინტერესებდეს საექიმო საზოგადოებას?!

საინტერესო ცნობებს ვკითხულობთ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, პროფესორ ვაჟა თვალავაძის წიგნში ''სამტრედია 1870-1914 წლებში''.

სამტრედიაში გავრცელებული იყო შემდეგი დაავადებები: ციებ-ცხელება, ქოლერა, ყვავილი, ყელის ჭირვება, წითელა, ფილტვების ანთება, მუცელა (დიზენტერია), თათრის ჭირი (შავი ჭირი) და ა. შ.

ნაკლებად იყო სამტრედიაში გავრცელებული სარკომის, კიბოს შედეგად გარდაცვალების შემთხვევები.

1918 წლისთვის ამ დაავადებებისაგან 2 კაცი და 4 ქალი გარდაცვლილა. ქუთაისის გუბერნიაში უეცარი სიკვდილით 1887 წელს 39 ადამიანი, აქედან 23 მამაკაცი და 16 ქალი გარდაცვლილა. მეხის დაცემით 1 ადამიანი დაღუპულა. მაღლიდან ჩამოვარდნილა 20 ქალი და 2 კაცი, ცეცხლში 5 ქალი დამწვარა, ყურადღებამისაქცევია, რომ ინფარქტით გარდაცვალების შემთხვევები იმ წლებში არაა აღწერილი.

ქალაქი სამტრედია დაბლობში იყო გაშენებული, ამდენად, ინფექციური დაავადებების გამომწვევი მიზეზი ძირითადად უსუფთაობა იყო, ადგილობრივ მცხოვრებთ ზაფხულში ქალაქში დარჩენა ძლიერ უჭირდათ.

1892 წელს ქუთაისის გუბერნიაში ხოლერა გაჩნდა. ხოლერის საწინააღმდეგო ღონისძიებების გასატარებლად ხალხი ფულის აკრებას თავს არიდებდა, ერთის მხრივ, სიღატაკის გამო, აგრეთვე, მთავრობის მოხელეებისადმი უნდობლობის მიზეზით, რომლებმაც არა ერთხელ გაფანტეს საზოგადო საქმისათვის შეკრებილი ფული, იმავე 1892 წელს ხოლერით 5 კაცი გარდაცვლილა სოფელ ჭაგანში.

1908 წელს სამტრედიაში ყვავილის ინფექციამ მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამტრედიის გამგეობამ საკუთარი ინიციატივით, ხალხში სამედიცინო ცოდნის გავრცელების მიზნით, ლექციების ჩატარება გადაწყვიტა, ლექციებს ექიმები რ. ნანეიშვილი, ევ. ლოსაბერიძე კითხულობდნენ.

XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სამტრედიაში მოღვაწეობდა დიდად გამოცდილი ფერშალი ანტონ კოჩინევი, იგი 40 წლის განმავლობაში ასრულებდა თავის მოვალეობას.

1895 წელს სამტრედიაში ექიმი სერგეი მესხი მსახურობდა, რომელიც მალე ბაქოს გუბერნიაში გადავიდა სამუშაოდ. იგი ექიმმა მიხეილ ლორთქიფანიძემ შეცვალა, ისიც ართვინში გადაიყვანეს და ამის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში სამტრედიელები სამკურნალოდ კულაშში ექიმ გინზბურგთან დადიოდნენ.

_ გინზბურგი, ნიჭიერი, გამოცდილი, დაუზარელი ექიმი იყო, არ თაკილობდა ავადმყოფებთან წასვლას არც ცხენით, არც ჯორით, არც ფეხით, მაგრამ ქართული ენა არ იცოდა და ამიტომ ყველა ვერ აგებინებდა თავის სატკივარს. _ წერდა ''ცნობის ფურცელი '' 1897 წელს (№ 291).




სამტრედიის მუნიციპალიტეტის გერბი

მართალია, XIX საუკუნის მიწურულს სამტრედიაში ''ნასწავლი ექიმები'' მომრავლდნენ, მაგრამ ხელფასების სიმცირისა და არასათანადო საყოფაცხოვრებო პირობების გამო მათი ერთ ადგილზე გაჩერება ძნელდებოდა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც ექიმების მატერიალური პირობები თანდათან უმჯობესდება, რუსეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში კურსდამთავრებული ადგილობრივი წარმოშობის, თუ სხვა ქართველ ექიმთა სამტრედიაში ჩამოსვლა კეთილ გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და ყოფითი პირობების გაუმჯობესებაზე.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე და შემდეგ პერიოდშიც სამტრედიაში მოღვაწეობდნენ ექიმები: რ. ნანეიშვილი, ს. წერეთელი, ი. ჯაში, სტომატოლოგი ა. დოლიძე, რომელსაც ''ჰქონდა ამბულატორია ხელოვნური, ახალი კბილების გასაკეთებლად''. (გაზეთი ''ახალი გზა'' 1914 წ.).

განსაკუთრებით აფასებდა მოსახლეობა სამტრედიაში, მის სოფლებში მოღვაწე ექიმებს, რომელთაც თავიანთი პროფესიული მოვალეობის პირნათლად შესრულებით ხალხის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს: ივანე გომართელს, ე. ვაშაკიძეს, ევ. ლოსაბერიძეს, გინზბურგს, ფერშლებს, ა. კოჩინევს, ნ. ჩიჩუას, კალანდაძეს და სხვებს.

''...სხვადასხვა უსუფთაობას ნუღარ იტყვით: ყასბები შიგ შუა ქალაქში დუქნებს უკან ჰხოცავენ საკლავს და არის ერთი უბედურება აუარებელი ძაღლებისა და ღორებისაგან.

ეხლა კიდევ ზამთარია და რა იქნება ზაფხულში ასეთი დაუდევრობის გამო, ადვილი წარმოსადგენია'', წერდა გაზეთი ''ივერია'' 1892 წელს.

ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ უნდა ითქვას, რომ ქალაქ სამტრედიაში არც დღესაა ნაკლებად შესამჩნევი მაწანწალა ძაღლების არსებობა, ქალაქის და არა მარტო ქალაქის ტერიტორიაზე ცოფით მსხვილფეხა თუ წვრილფეხა ცხოველების დაინფიცირების ფაქტებსაც თუ გავითვალისწინებთ, მიმდინარე წლის ივლისში რომ დაფიქსირდა, არხეინად ყოფნის საბაბი ნამდვილად არ გვაქვს. ასე იყო, ასეა, რა იქნება მომავალში?

# როცა პუშკინიც და პუტინიც ერთ ტაფაში იწვის

ნათია ნაცვლიშვილი

***მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს, ბეჟან გეგეშიძეს მაგიდაზე რეზო თაბუკაშვილის ლექსი უდევს, რომელიც ღირსეულმა პოეტმა ანდერძად დაუტოვა შთამომავლობას: ამ საჯარო მოხელის მოწვევა რესპონდენტად რუბრიკაში "წიგნები" კიდევ ერთმა შემთხვევამ განაპირობა: გასულ წელს, როცა "ქართული ოცნება" საკრებულოში უმრავლესობით მოვიდა, მღელვარე და დრამატული სხდომის მიმდინარეობის დროს, გამოცხადებულ მცირე შესვენებაზე მან სპარსული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლის, ჰაფეზის სიტყვები გაიხსენა. ბატონი ბეჟანი წიგნთან თავის დამოკიდებულებაზე გვესაუბრება:***

**– ბატონო ბეჟან, ვინმეს თუ წაუცდა ხელი რეზო თაბუკაშვილის ამ ლექსისკენ და თუ წაიკითხა?**

– დიახ, რა თქმა უნდა, მამუკა თავაძემ და ნოე ივანიაძემ წაიღეს. ანდერძია ეს ლექსი ყველასთვის, რა შესანიშნავად ამბობს: "სხვისი სიკეთით სიხარული თუ გაიბევრეთ". თუკი ამას ვისწავლით ქართველები, რომ სხვისი სიკეთით გავიხაროთ, გვეშველება, თუ არა, არაფერი გვეშველება.

**– რეზო თაბუკაშვილი იყო შესანიშნავი მეცნიერი და მოღვაწე, ის არასოდეს არც ერთ პარტიას არ გაჰკარებია, რთული გასატარებელი არ იქნება ეს ზნეობრივი პრინციპები პოლიტიკაში?**

– დიახ, სხვათა შორის, მენიშნა და მახსენდება "დათა თუთაშხიადან" სიტყვები: "აი, ამ პოსტზე ადამიანური ღირსების შენარჩუნება ძალზე ძნელიაო". თუკი პოლიტიკოსი შეინარჩუნებს ადამიანურ ღირსებას, ის უსათუოდ დიდი ადამიანია. რატომღაც, რაღაცეების გამო ვღალატობთ ხოლმე ადამიანურ პრინციპებს.

**– ადგილობრივ მმართველობაში თქვენი მოსვლიდან 1 წელი შესრულდა. გასული წლის 14 ივლისს შეიკრიბა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ახალი საკრებულო. გარკვეულწილად რომ შეაჯამოთ თქვენი საქმიანობა, რამდენად კმაყოფილი ხართ, საყვედურების მოსმენა უფრო გიწევთ თუ კომპლიმენტების?**

– კომპლიმენტების მოსმენა თითქმის არ მიწევს. პირადად მე, ოჯახში მყავს ოპოზიცია. საერთოდ, ბევრის მოლოდინი არსებობდა, მაგრამ უნდა ითქვას, ახლის აშენება უფრო ადვილია, ვიდრე ძველ საძირკველზე შენება. მოლოდინი იყო ძალიან დიდი, მაგრამ არ არსებობს ჯადოსნური ჯოხი, აიქნიო და ყველაფერი შეძლო. მე არ მქონდა ისეთი მოლოდინი, როგორიც რიგით ამომრჩეველს. ჩვენ გარდამავალი პერიოდის მოხელეები შევიქენით და ძალიან რთულ დროს მოგვიწია საქმიანობამ. ძალიან ბევრი გაჭირვებულია, მაგრამ ეს არ არის ჩვენი ბრალი. არ მიყვარს ძველის კრიტიკა და სხვის ბაღში კენჭების სროლა, მაგრამ ამ პრობლემებს თავი ახლა არ უჩენიათ. ეს მოდის და მოდის. დემოკრატიის მაღალი ხარისხის დამსახურებაა, რომ ამდენს საუბრობენ ამ პრობლემებზე, მათზე საუბრის უფლება ყველას აქვს. ვებრძვით ამ პრობლემებს შეძლებისდაგვარად.

**– რამდენად კვალიფიციური, კომპეტენტური და კარგი კადრების მოყვანა შესძელით? მოეწყო კონკურსი, გყავთ უკმაყოფილოებიც, ობიექტურად რომ განსაჯოთ, რამდენად წიგნიერი და კვალიფიციური კადრები მოიყვანეთ საჯარო სამსახურში თანამდებობებზე?**

– შეიძლება, სუბიექტური ვარ, მაგრამ ვეცადეთ და მაღალი პროცენტით კარგი ხალხი მოვიყვანეთ. ჩატარდა კონკურსი, პირადად ჩემი ასარჩევი რომ ყოფილიყვნენ ადამიანები, შეიძლება კონკურსში გამარჯვების მიხედვით არ შემერჩია ისინი, მაგრამ, ამ კონკურსიდან გამომდინარე, ვთვლი, რომ კარგი ხალხი მოვიდა და სამსახურის ძველი თანამშრომლებიც გამოთქვამენ კმაყოფილებას ახალი კადრების მოსვლის გამო, ეს ახალგაზრდები მოტივირებულნი და ენთუზიაზმით აღსავსენი არიან.

**– პროფესიით მშენებელ-ინჟინერი ხართ, როდის მოასწარით ლიტერატურის ასე შეყვარება? განსაკუთრებით კი პოეზიის?**

– თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე, ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობა რკინიგზის ტრანსპორტზე – ეს არის ჩემი სპეციალობა. 3 წელი პროფესიით ვიმუშავე ე. წ. "შეჩეში". სტუდენტური ასაკიდან გამიმძაფრდა პოეზიის სიყვარული, ჰაფეზი ერთ-ერთი ჩემი საყვარელი პოეტია, ძველი სპარსული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელი. ის დღესაც აქტუალურია, ჰაფეზი შუა საუკუნეებში ცხოვრობდა, მომდევნო საუკუნეებში – შექსპირი, მაგრამ ჰაფეზიც იგივე პრობლემებს აყენებს, რასაც შექსპირი თავის 66-ე სონეტში: "ყველაფრით დაღლილს სანატრელი სიკვდილი დამრჩა..."



**– იქნებ გაიხსენოთ ჰაფეზის ეს ლექსი?**

აი ეს ლექსიც: "დადგინდა ჟამი საძლისად ძნელი, კანონად იქცა სიმდაბლე ბნელი, აწ აღარვის შერჩა სიქველის და ვაჟკაცურობის ნიშანი ძველი. ბრძენთ აღზევებულ ბრიყვთა წინაშე აქვთ სამათხოვროდ გაწვდილი ხელი, განსწავლულთა და უნარით სავსეთ მოღერებიათ საწუთროს ცელი"... ზუსტად იგივე განწყობაა, რაც შექსპირთან, ანუ ეს პრობლემა ადრეც ყოფილა და დღესაცაა.

**– ერთგვარად თქვენს პოლიტიკურ მმართველობას ხომ არ უპირისპირდებით თქვენივე მოხმობილი ციტატით?**

– არა, ეს მარადიული პრობლემაა და სავარაუდოდ, ყოველთვის ასევე დარჩება. ამის პასუხს წმინდა წერილიდან გეტყვით: "წუთისოფლის ძენი უფრო მოხერხებულნი არიან, ვიდრე ნათლის ძენი", ანუ წუთისოფლის შვილები უფრო ახერხებენ ალღო აუღონ ცხოვრებას და მოხვდნენ კარგ პოსტებზე, ნათლის ძენი კი ისინი არიან, რომელთაც არ შეუძლიათ ეშმაკობა, მლიქვნელობა. ეს მარადიული პრობლემაა, ღმერთმა ქნას, დავგვიდგეს ის ჟამი, ყველაზე ღირსეული და განათლებული ადამიანები მართავდნენ ქვეყანას. პირადად მე, ვთვლი, რაც არ უნდა იდეალურთან მიახლოვებული გუნდი შეკრიბო, მასზე უკეთესი ყოველთვის მოიძებნება გარეთ. არ მივიჩნევ, რომ ვარ ყველაზე საუკეთესო, უბრალოდ, მე მოვედი ამ პოლიტიკურ გუნდთან ერთად, არ მაქვს პირველობის ამბიცია, მაგრამ მაქვს ამბიცია, იმისა, რომ პატიოსნად ვაკეთებ ჩემზე დაკირებულ საქმეს. ჩემი ცხოვრების კრედო დაფუძნებულია სახარების ოქროს წესზე: "მოექეცი სხვებს ისე, როგორც გინდა, რომ მოგექცნენ შენ".

**– ქვეყნის წინსვლის დამაბრკოლებელი მიზეზი უნდა ვეძიოთ თუ არა იმაში, რომ პოლიტიკურ ელიტაში განათლებული ადამიანები არ გვყავს?**

– ჩემი გადმოსახედიდან განათლებული შეიძლება იყოს ადამიანი და არ იყოს წიგნიერი და პირიქით. შეიძლება ამაზე ვიდავოთ, მაგრამ ბერი გაბრიელი არ იყო წიგნიერი, მაგრამ უდიდესი განათლება ჰქონდა. ის ღრუბელს აჩერებდა ლოცვით და პირჯვრის წერით, მაგრამ მას მხოლოდ 6 კლასის განათლება ჰქონდა. შეიძლება კაცი იყოს წიგნიერი, მაგრამ თავისი უზნეობით ქვეყანა დაანგრიოს. წიგნიერი ადამიანები დღეს რომ ჭირს, ფაქტია. კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე გადასვლამ შეცვალა თითქმის წიგნი, მაგრამ წიგნს ვერაფერი შეცვლის, სახარებას და ეპისტოლეებს კომპიუტერში ვერ წავიკითხავთ. ბევრი რამ წიგნში უნდა წაიკითხო, ყველაფერს კომპიუტერში ვერ წაიკითხავ.

**– კობა დავითაშვილმა "დიდი მოურავი" მობილურ ტელეფონში წაიკითხა...**

– შეუძლებელად მეჩვენება. მახსოვს, მე-8 კლასში მაინ რიდის "უთავო მხედარმა" დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, დღემდე გადავხედავ ხოლმე ამ წიგნს, ამ წიგნიდან მომყვება დიდი ემოცია, არა მგონია, წიგნის კითხვით მიღებულ სიამოვნებას კომპიუტერში წიგნის წაკითხვის სიამოვნება გაუტოლდეს.

**– საყვარელი წიგნები დაგვისახელეთ, წიგნების გაჩუქება გიყვართ?**

– დიდი ფული არასოდეს მქონია, მაგრამ ჩემთვის ყველაზე კარგი საჩუქარი წიგნი იყო და თავადაც ხშირად ვჩუქნიდი სხვებს. მიყვარს პუშკინის მინიატურული პროზა, პუშკინი პოეზიის მზედ მიმაჩნია და ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიო მასშტაბით, დღეს ისეთი ვითარებაა, პუშკინი და პუტინი ერთ ტაფაში იწვის და ძალიან მწყდება გული.

**– გახსოვთ, მამუკა კაციტაძემ დავით ბერძენიშვილს პარლამენტის სხდომაზე პუშკინისეული ლექსის ციტატა შეახსენა: "სულგრძელად შეხვდი ყველა ქებას, ყველა ძაგებას, ოღონდ რეგვენებს ნუ ეკამათები!"-ო.**

– დიახ, ეს არის პუშკინის ლექსიდან "ძეგლი". მიყვარს ძალიან შტეფან ცვაიგი, არას ვამბობ კონსტანტინე გამსახურდიას დიდტანიან ნაწარმოებებზე, განსაკუთრებულად კი მისი მინიატურული პროზა მომწონს: "ქოსა გახუ", "ლილ" და "ხოგაის მინდია". მიყვარს ტურგენევიც, პუშკინიც, ტოლსტოიც, ჰემინგუეიც და სტაინბეკიც, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდია მირჩევნია მაინც ყველას.

**– თანამედროვე ლიტერატურულ ტენდენციებს იცნობთ?**

– დრო ნამდვილად არ მაქვს, არც საშუალება მაქვს, ახალი წიგნები ვიყიდო.

**– არც ბიბლიოთეკას აკითხავთ?**

– დიდი ხანია, არ ვყოფილვარ, ახალგაზრდობაში მისი ხშირი სტუმარი ვიყავი. ისეთი მეგობრები მყავდნენ, მათაც საუკეთესო ბიბლიოთეკები ჰქონდათ. რაც შეეხება თანამედროვე მწერლებს და პოეტებს, გალაკტიონის სამშობლოში ვარ აღზრდილი, ამიტომ დიდი მოთხოვნა მაქვს ყველა თანამედროვე პოეტთან. ისე კი, სიამოვნებით ვკითხულობ ბესიკ ხარანაულის და რატი ამაღლობელის ლექსებს. ვაჟა საერთოდ გენიოსია, განცვიფრებული ვართ ქართველები დიდი წინაპრებით და თანამედროვეებსაც დიდ მოთხოვნებს ვუყენებ.

**– ლექსები იცით ზეპირად ან თამადობისას გჩვევიათ მათი წაკითხვა?**

– ახალგაზრდობაში თითქმის ზეპირად ვიცოდი გალაკტიონის პოეზია, შექსპირის სონეტები. დღეს ბევრი რამ დამავიწყდა, ისე ვერ ვკონტაქტობ წიგნთან, როგორც წინათ...

**– ჩვენს ქალაქში მცხოვრებ რამდენიმე წიგნიერ ადამიანს დაგვისახელებთ?**

– ასეთები არიან ჯონი ნადირაძე და ჯემალ ტაბიძე. გენო გეგეშიძეც სამტრედიის ინტელექტუალი იყო.

**– ყველაზე ძვირი რამდენი გადაგიხდიათ წიგნში?**

– 100 ლარი გადავიხადე დასურათებულ დიდი მხატვრების წიგნში და გავაჩუქე. იცით, რა მინდა გითხრათ? თანამედროვე ახალგაზრდას, ჩემი შვილის თაობას დღეს რეპი რომ უფრო მოსწონს, ვიდრე ჰამლეტ გონაშვილი, აქ რაღაც პრობლემაა. იგივეა ლიტერატურაშიც და ხელოვნებაშიც. ფერწერაც სადავოა, ვის იმპრესიონიზმი მოსწონს, ვის – რენესანსის ეპოქა. ემინემი რომ მოეწონება ბავშვს და ქართულ ფოლკლორს და რევაზ ლაღიძეს უნდობლად უყურებს, იქ აშკარად გემოვნების პრობლემაა. უდიდეს პატივს ვცემ ანზორ ერქომაიშვილს, რომელმაც ჩამოაყალიბა ანსამბლი "მართვე". გემოვნება რომ ჩამოუყალიბდეს, ახალგაზრდამ ყველაფერი უნდა წაიკითხოს. "ბითლზის" "სკორპიონის" და "პინკ ფლოიდის" მუსიკაზე გავიზარდე და დღესაც მიყვარს, მაგრამ მათ ვერ გავცვლი იმ ქართულ ფოლკლორში, სამი ათასი წელია, რომ მოდის ჩვენამდე. ამ ჩამოთვლილი ანსამბლებიდან ერთის შემოქმედებაც არ არის გაშვებული კოსმოსში, ჩვენი "ჩაკრულო" კი კოსმოშია. თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო. ის ვიღაცა ხვდება, რომ ჩვენი კარგია და ჩვენ ვერ უნდა ვხედავდეთ ამას?

# რაში სდებდა ბრალს ბერია აკაკი კვანტალიანს?

"ჩემისთანა ცუდ კაცს, ასეთ კარგ პარტიაში რა უნდაო" – ამ სიტყვებით იცილებდა თურმე თავიდან შესანიშნავი მსახიობი, აკაკი კვანტალიანი პარტიაში შესვლის წინადადებას.

მის პრინციპულობაზე, გაბედულებასა და მაღალ ადამიანურ თვისებებზე მისი შვილის, გელა კვანტალიანის ეს მოგონებაც ღაღადებს: "1938 წელს მამაჩემმა ბერიასთან ისე იჩხუბა, მეორე დღეს ყველას გაუკვირდა ცოცხალი რომ გადარჩა. საბუთებში პოლიტიკურად არასაიმედო ეწერა. თეატრში რაღაც უსიამოვნება მოხდა და ამის გამო მსახიობები დაიბარეს. ბერია ბრალს სდებდა, რაღაც ანტისაბჭოთა ჯგუფს აყალიბებთო, მამაჩემისთვის უყვირია: "ია ტებია ვ პარაშოკ პრევრაშუ". მამამ კი უპასუხა: "ახ, კაკ ვამ ეტა ნე ტრუდნო სდელატ". ვინც იმ შეხვედრას ესწრებოდა, მერე ამბობდა, აკაკის ამ სიტყვებზე ყველას გაგვაჟრჟოლაო. ბერიამ ვასო გოძიაშვილს უთხრა: "უზნაიუ, კტო დირიჟირუეტ ვ ეტომ ორკესტრე". ვასომ კი მიუგო: "უზნაეტე, კტო დირიჟირუეტ, ნო პერვაია სკრიპკა ეტო ია". ბატონი ვასო პარტიის წევრი იყო, შეიძლება მის დასჯაზე თავი შეეკავებინათ კიდეც, მაგრამ მამაჩემი არასოდეს ყოფილა პარტიის წევრი. ამ კრების შემდეგ იმ ღამესვე სტალინმა ბერია მოსკოვში გამოიძახა, ამიტომ მან აკაკი კვანტალიანისთვის ვერ მოიცალა".

27 ივლისი აკაკი კვანტალიანის გარდაცვალების დღეა, ამიტომ, მისი მშობლიური ქალაქის, სამტრედიის მკვიდრთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ დიდ მსახიობს გავიხსენებთ.

მას "სიცილის დიდოსტატი" უწოდეს. საქართველოს სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა აკაკი კვანტალიანმა ქართულ კინოსა თუ თეატრში მრავალი ღირსშესანიშნავი სახე შექმნა. ყველა თაობისათვის საყვარელმა ამ მსახიობმა 40-მდე კინოფილმსა და 100-მდე სპექტაკლში ითამაშა. მისი სტიქია კი მაინც კომიკური როლები იყო და ასეთი სახეების შექმნა მან ჯერ კიდევ ბავშვობაში დაიწყო.

აკაკი კვანტალიანი 1907 წლის 14 დეკემბერს, სამტრედიაში დაიბადა. ხუთშვილიანი ოჯახის მეოთხე ბავშვი და-ძმებისაგან თავისი განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩეოდა თურმე. იმხანად სამტრედიის კლუბში ხშირად აჩვენებდნენ მუნჯ კინოფილმებს. აკაკის მშობლები მათ სანახავად არ უშვებდნენ, მიაჩნდათ, რომ კინო მხოლოდ რყვნიდა მოზარდებს. აკაკი კი სახლიდან ჩუმად იპარებოდა და კინოსეანსებს ესწრებოდა. უკან დაბრუნებული შეკრებდა ძმებს და მეზობლის ბავშვებს და თავად იწყებდა "დადგმას". თამაშის დროს თურმე ის იმდენად სასაცილო ხდებოდა, მის გვერდით მყოფ პარტნიორებს ავიწყდებოდათ, რომ სცენაზე იდგნენ და გულიანად ხარხარებდნენ.

1925 წელს აკაკი თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 2 წლის შემდეგ ის თბილისის მუშათა თეატრის ქართულ სექტორს შეემატა, რომელსაც მიხეილ ჭიაურელი ხელმძღვანელობდა.



ერთი წლის შემდეგ მუშაობა დოდო ანთაძის თაოსნობით ჩამოყალიბებული საბავშვო თეატრის ექსპერიმენტულ კოლექტივში დაიწყო. აკაკის ნიჭი ამ პერიოდში კოტე მარჯანიშვილმა შენიშნა, როდესაც დიდი რეჟისორი ქუთაისი-ბათუმის სახელმწიფო თეატრს ჩაუდგა სათავეში, რამდენიმე მსახიობს შორის, რომელიც მან თბილისიდან წაიყვანა, აკაკი კვანტალიანიც იყო. 1928 წლიდან აკაკი მარჯანიშვილის თეატრის წამყვანი მსახიობია. ის წარმატებით ასრულებდა მკვეთრად სახასიათო როლებს. მათ შორისაა, ქუჩარა (კაკაბაძის "ყვარყვარე თუთაბერი"), ლეპორელო (პუშკინის "ქვის სტუმარი"), ქერუბინო (ბომარშეს "ფიგაროს ქორწინება"), ალფრედ დელიტლი (შოუს "პიგმალიონი") და სხვა. აკაკი კვანტალიანმავე ჩამოაყალიბა ქართული ესტრადის თეატრი. ის წარჩინებით მოღვაწეობდა საესტრადო ჟანრშიც.

აკაკი კვანტალიანის მეუღლე, მაია ჭიპაშვილი მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმში მუშაობდა. როგორც აკაკი კვანტალიანის ქალიშვილი, ქეთევანი იგონებს, ის თეატრში სტაჟიორად მისულა, მაგრამ მეუღლემ მსახიობად არ გაუშვა, ოჯახიდან ერთი მსახიობიც საკმარისიაო.

"მამამ ხალხში ისეთი სიყვარული დატოვა, ამას ყველა ნაბიჯზე გვრძნობთ, გაიგებენ თუ არა, ვისი შვილები ვართ, უხარიათ, აღფრთოვანებას ვერ მალავენ, მე ოჯახი არ მყავს, მაგრამ ჩემს ძმას ორი ვაჟი ჰყავს – კაკო და სანდრო. ისეთი ბიჭები არიან, მამა ნამდვილად იამაყებდა მათით". – ამბობს ქეთევან კვანტალიანი 5 წლის წინ ერთ-ერთ მოცემულ საგაზეთო ინტერვიუში.

დიდი მსახიობი კი მის მიერ შექმნილი უკვდავი კინო სახეებით: მენახშირე მიტუა, ფილმიდან "მაგდანას ლურჯა", ვარდენი "უდიპლომო სასიძო", ლაზარე ფილმიდან "რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", დავითი, "გიორგობის თვე" დიდხანს დარჩება ქართველი კაცის ხსოვნაში.

ნათია ნაცვლიშვილი

# რა ენა “(მ)წა(რ)ხდეს”...

***“იყიდება ოჯახი” _ ასეთ წარწერას ჩვენს ქალაქში, ერთ-ერთი კერძო სახლის ჭიშკარზე წავაწყდით. მაშინვე მივხვდით დამაფიქრებელი განცხადების ავტორის ჩანაფიქრს, მაგრამ საქმე რომ უხეშ შეცდომასთან გვქონდა, ესეც ცხადი იყო. გადავშალოთ “ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის” ერთტომეული და სიტყვასიტყვით წავიკითხოთ განმარტება: ოჯახი _ ერთად მცხოვრებ უახლოეს ნათესავთა ჯგუფი (ცოლ-ქმარი, მშობლები, შვილები, შვილიშვილები...). უეჭველია და ზედმეტი მტკიცება არ სჭირდება, რომ ზემოაღნიშნულის არათუ წამკითხველს, გამგონეს მაინც დაეწერა მსგავსი განცხადება. სხვა თუ არაფერი, პატივმოყვარე ქართველი, მშობლებისა და მეუღლის გასაყიდად გამოცხადებას საკუთარ თავს რომ შევეშვათ, სხვას გაუხდის სანანებლად. როგორ დასრულდა ვაჭრობა, ან რა იხეირა “სოვდაგარმა”, ეს აღარ ვიცით, თუმცა, ამ და სხვა მსგავსი ფირნიშების მომრავლებას რომ იგრძნობდით, ამაში დარწმუნებულნი ვართ.***

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა შეივსო უცხო ცნებების აღმნიშვნელი გამოთქმებით, აგრეთვე, სხვადასხვა დარგისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიით. ისინი, ხშირ შემთხვევაში, უმართებულო ფორმებით მკვიდრდება. კონტროლს საჭიროებს ორთოგრაფიულ-გრამატიკული შეცდომებით დამძიმებული სარეკლამო ტექსტები თუ აბრებზე გამოფენილი წარწერები, უგემოვნოდ ნათარგმნი ფილმები და სერიალები, სტილისტიკურად გაუმართავი საკანონმდებლო ენა და მრავალი სხვა. ამ წერილის ავტორი არც ენათმეცნიერია და არც ფილოლოგი. ამ შემთხვევაში იგი ერთი (ლინგვისტური, ორთოგრაფიულ-სტილისტიკური შეცდომებისაგან დაუზღვეველი) რიგითია, რომელსაც არ სურს, წინამდებარე სტატია დამრიგებლური, მიმთითებლური ტონით დაწერილად აღიქვას მკითხველთა დიდმა ნაწილმა.

“მადლობა გადავუხადეს” ნაცვლად “მადლობა მოვუხადეო”, _ გვესმის ხშირად. უმნიშვნელო შეცდომადაც “მონათლავს” მას მავანი, მაგრამ ყველამ (მავანმაც კი) ვიცით, რომ უმნიშვნელოდან მნიშვნელოვნამდე არც ისე დიდი გზაა გასავლელი, მით უფრო ისეთ სწრაფად განვითარებად საქმეში, როგორიც სიტყვიერებაა.

“ამა და ამ დროს *ადგილი ჰქონდა* ამას და ამას, სადაც *განხილულ იქნა* ესა და ეს, აქა და აქ თავი მოიყარა *რამოდენიმე* ადამიანმა, მათ ილაპარაკეს *რაღაცეებზე*, ყველამ *აღნიშნეს*, რომ ესა და ეს, შემდეგ მათთან მივიდა *ხუთი ჟიურის* წევრი, მათ თქვეს, რომ წიგნები უკვე *გაყიდვაშია* აქა და აქ, ხოლო *ფეშენვიკი* გაიმართება მომავალ *უიქენდზე.*” _ მართალია, ეს უაზრო წინადადებაა, მაგრამ, სამაგიეროდ, შევეცადე ერთად მომეგროვებინა ქართულ მედიაში გავრცელებული შეცდომების ნაწილი მაინც”. _ ვკითხულობთ აკადემიკოს მზექალა შანიძის ერთ-ერთ ინტერვიუში. _ “საკითხისა და ენის უცოდინარობა, რომელიც არ მდგომარეობს მხოლოდ გრამატიკული წესების უცოდინარობაში, ერთი ნაწილია. ზოგადად კი, ჩვენი მედიის ძალიან დაბალი პროფესიონალიზმი არის ის, რაც ყველაზე უფრო მაღიზიანებს. გრამატიკული შეცდომები კიდევ ნაკლებად მოსდით, მაგრამ ეს გახევებული სტილი, არაბუნებრივი ინტონაციები, რუსულიდან გადმოტანილი გამოთქმები, სიტყვების არევ-დარევა გადმოცემის დროს... რომელი ერთი ჩამოვთვალო?!” _ დასძენს იგი.



ტექნიკურ პროგრესთან ერთად მსოფლიოში ვრცელდება უცხოური ტერმინები. რთულია, ფეხი არ აუწყო განვითარების თანმდევ პროცესს, მაგრამ ხომ არ აჯობებდა, ჯერ მოგვეძებნა ამა თუ იმ სიტყვის ქართული შესატყვისი, ისევე, როგორც ეს გაუკეთებია ერთ უცნობ დაინტერესებულს: “კრეატიული _ შემოქმედებითი; რეზულტატი _ შედეგი; ექსპერიმენტი _ ცდა; რიმეიქი _ გარდაქმნა, გადაკეთება; მეილი _ ფოსტა, ივენთი _ ღონისძიება; უიქენდი _ შაბათ-კვირა და ა. შ.”

სხვა ენის ნორმების მიხედვით ნაწარმოები სიტყვა ან შექმნილი გამოთქმა, იგივე კალკი, პრობლემათა შორის უმთავრესია დღევანდელ მეტყველებაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სახელის ცვლა შვიდ ბრუნვაში სკოლის მერხიდანვე ცნობილია ჩვენთვის. მაშ, ერთი კონკრეტული მაგალითისთვის, რატომ გვესმის სულიერი მამის მოხსენიებისას ფორმები: “მამაომ დამარიგა”, “მამაოს ვკითხავ”..? ამ დროს ხომ ერთდროულად ორ ბრუნვის ნიშანს იყენებენ. “მამაომ”, აქ “ო” _ წოდებითი ბრუნვის ნიშანია, “მ” _ კი მოთხრობითისა. უნდა ვთქვათ: “მოძღვარმა დამარიგა”, “მოძღვარს ვკითხავ” ან “მამა იაკობმა დამარიგა”, “მამა იაკობს ვკითხავ”. ხშირად ვხვდებით ისეთ შეცდომებსაც, როცა ერთი ადამიანი ხელს აწერს რაიმე წერილს და ქვემოთ უთითებს _ “მრეველი”. არ შეიძლება სუბიექტი იყოს კრებითი სახელის აღმნიშვნელი, მართებულია _ მრევლის წევრი.

| მცდარია | მართებულია |
|---|---|
| ატანა არა აქვს | ვერ იტანს |
| მუსიკები | მუსიკა |
| ფაქტიური | ფაქტობრივი |
| სისტემატიური | სისტემატური |
| დაფქვილი | დაფქული |
| აღტკინებული | აღტყინებული |
| არ აწყობს | ხელს არ აძლევს |
| ადგილი ჰქონდა | მოხდა |
| გაყიდვაშია | იყიდება |
| შეხვედრა შედგა | შეხვედრა გაიმართა |
| შერაცხული | შერაცხილი |
| კუბამეტრი | კუბმეტრი |
| ცნობადი | ნაცნობი |
| წროთვნა | წვრთნა |
| აქედან გამომდინარე | ამიტომ, ამის გამო |
| აქით | აქეთ |
| ბოდიშით | ბოდიში |
| საქმე იმაშია | საქმე ისაა |
| იქეთ | იქით |
| აგრალური | აგრარული |
| ბრაკი | წუნდებული |
| რამოდენიმე | რამდენიმე |
| მომგებიანი | მოგებიანი |
| ფარშევანგი | ფარშავანგი |
| ქვეშქვეშობა | ქვეშქვეშაობა |
| ახლახანს | ახლახან |
| წარმოიშვება | წარმოიშობა |
| ფიქტიური | ფიქციური |
| ფსიქოპატი | ფსიქოპათი |

წერილზე მუშაობისას, ერთ ქართულენოვან ჟურნალში, სრულიად შემთხვევით, “ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემის” აღწერის თვალსაზრისით, იოსებ გრიშაშვილის ნაკალმარი, ფრიად საინტერესო პუბლიკაცია წავიკითხეთ და საჭიროდ ჩავთვალეთ, თემის შესაბამისად, იგი თქვენთვისაც შემოგვეთავაზებინა.

**“წმინდა ქართული**

(ფილოლოგიური ტრაქტატი)

ვინ არ ჩივის ეხლა ქართული ენის წახდენას!

წავიდა, აღარ ისმის წმინდა ქართული, ტკბილი ქართული...

ვისი ბრალია? ემდურიან მეტადრე ჩვენს მწერლებს, ყველაზე მეტად მაგათ გარყვნეს ენაო.

დიახ, სამართლიანი საყვედურია, რადგან ქართველი მწერლისათვის ქართულის ცოდნა სავალდებულო როდია. მაგრამ ენის წახდენაში, მწერლების გარდა, დიდი ბრალი აქვთ ჩვენს ვაჭრებსაც, რომელთაც რუსული სიტყვების ხმარება განათლება ჰგონიათ.

ამას წინათ ერთმა ვაჭარმა ასეთი ამბავი მიამბო:

“ერთს მანუფაქტურის მაღაზიაში შევიდა ჩვენი პრისტავი და საროჩკები იკითხა. _ რა საროჩკები გნებავთო, _ ჰკითხა კუპეწმა, _ პალატნიანი თუ შოლკოვი?

_ მე ნეჟნად გაზრდილი არა ვარ, სიტცეზედაც საღლასნი ვარო.

ჩამოიღო პრიკაშჩიკმა პოლკიდან ერთი პაჩკა საროჩკა და დაუწყო პრილავკაზედ.

პრისტავმა გადაარჩია ოთხი საროჩკა სხვა-და-სხვა ფერისა: ლილოვი, გალუბოვი, კარიჩნივი და სირენივი. ბუმაგაში გაახვევინა და ჩადო ვეშჩებით გატენილს საკვოიაჟში.

_ სხვა ხომ არა გნებავთ-რა? _ ჰკითხა კუპეწმა, _ ნოვომოდნი საიუზკე შერსტანოი მატერიები მაქვს, სუკნო, ლიონსკი ბარხატი, ფაი, ბადუშკის საპირე, ბურსო, ნაირ-ნაირი შოლკოვი მატერიები...



_ არა, რაც მინდოდა, სხვისგან ვიყიდეო, _ უპასუხა პრისტავმა, _ საროჩკებში რა უნდა მოგცე?

კუპეწმა ჩოთკში ჩააგდო: თითოში _ დვა რუბლი ტრიცეთ, სუმა დევიდ რუბლეი დვაცათ კაპეიკს იხამს.

იკრა პრისტავმა კარმანზედ ხელი და... გროში-კაპეიკი არ გამოაჩნდა, პორტმანი შინ დავიწყებოდა.

_ უკაცრავად, ნალიჩნი თან არა მქონია და ჩემზედ იყოსო.

_ თქვენისთანა პაკუპატელს, კრედიტში კი არა, დარომაც რომ ინებოს, უვაჟენიას ვუზამთო, უთხრა კუპეწმა”.

ძალიან მეწყინა ნაციონალისტს ასეთი შებღალვა ქართულის ენისა. დამახსოვდა ეს უშნო ნაამბობი და სიტყვა-სიტყვით ჩავიწერე.

ჯავრი მომდიოდა: ნუ თუ რუსთველის ენა ისეთი ღარიბი ყოფილა, რომ ერთი უბრალო ამბის თქმა ვერ მოგვიხერხებია, თუ რუსული სიტყვები არ ჩავურთეთ?

ავიღე იმ ვაჭრის ნაამბობი, გადმოვაქართულე და რაც რუსულის მაგიერ ქართული სიტყვა ვიხმარე, იმას ხაზი გავუსვი.

აი, რა გამოვიდა:

“ერთ *ფარჩეულობის დუქანში* შევიდა ჩვენი *ბოქაული* და *პერანგები* იკითხა.

_ რა *პერანგები* გნებავთ?_ ჰკითხა *ვაჭარმა*, _ *ტილოსი* თუ *აბრეშუმისა?*

_ მე *აზიზად* არა ვარ გაზრდილი, *ჩითისას ვიყაბულებ.*

ჩამოიღო *ნოქარმა ყაფაზიდან* ერთი *დასტა პერანგი* და დაუწყო *დაზგაზედ.*

*ბოქაულმა* გადაარჩია ოთხი *პერანგი* სხვა-და-სხვა ფერისა: *სოსანი, ლაჟვარდი, მიხაკისა და იასამნის ფერისა. ქაღალდში* გაახვევინა და ჩაიდო *ბარგით* გატენილს *ხურჯინში.*

_ სხვა ხომ არა გნებავთ-რა? _ ჰკითხა დახლიდარმა, _ *ახლად შემოღებული საკაბე შალები* მაქვს; *მაუდი, ხავერდი, დარაია, ბალიშის საპირე, ყანაოზი,* ნაირ-ნაირი *ფარჩები...*

_ არა, რაც მინდოდა, სხვისგან ვიყიდეო, _ უპასუხა *ბოქაულმა,* _ *პერანგებში* რა უნდა მოგცე?

*ვაჭარმაც იანგარიშა:* თითოში _ *ორი მანეთი და ექვსი შაური, ჯამი ცხრა მანეთსა და ერთ აბაზს* იზამს.

იკრა *ბოქაულმა ჯიბეზედ* ხელი და *ფული* არ გამოაჩნდა, შინ დავიწყებოდა.

_ უკაცრავად, *ნაღდი* თან არა მქონია და ჩემზედ იყოსო.

_ თქვენისთანა *მუშტარს, ნისიად* კი არა, *მუქთადაც* რომ ინებოს, *ხათრს* ვუზამთო, _ მიუგო *სოვდაგარმა.*

ეს ხომ წმინდა ქართულია, _ ვთქვი ჩემს გულში... მაგრამ ვაი შენს მტერს, მე რომ მომივიდა; როცა ხაზგასმული სიტყვები გადავათვალიერე: სულ თათრული, სპარსული, არაბული, სომხური და ლათინური გამოდგა!

მაშ, რისღა წმინდა ქართული ყოფილა ჩემი გადმოქართულებული?

თურმე წმინდა ქართული არცა გვაქვს და არცა გვქონია!

დაე, გაიხაროს ჩვენმა მტერმა, რომელსაც ჰგონია, ვითომც ენის სიწმინდე თავისებური სიტყვებია და არა თავისებური სინტაქსი.

(“ნიშ.”, 1907 წ., №14)”

მხოლოდ ამ სიტყვების წაკითხვისა და გააზრებისთვის ღირს მოვუფრთხილდეთ წინაპართაგან დარჩენილ ღვთაებრივ საუნჯეს, ენას და ჩირქწაუცხებელი გადავცეთ იგი მომავალ თაობას.

**შოთა კაკავა**

## პოეზია

### ვერლიბრი

ნეტავ შემეძლოს, თითებით შენს თითებს შევეხო
და შენთან ერთად დავითვალო წამები...
ჩემი ღამე ორგვარია: მკრთალი და მუქი,
რადგან ჩემამდე ვერასდროს ვერ მოვა სიბნელე!
მესიზმრები და მგონია, რომ სამოთხეში ვარ...
ალბათ, ისევ სიყვარულისთვის თუ კვდებიან მტრედები,
თორემ მშვიდობა და სიკვდილი ერთად რა მოსატანია?!
ტყუილად სარგებლობ ჩემი ბუნდოვნებით,
სიჩუმის დაცვის სურვილით და კიდევ ვინ იცის, რით...
რასაც ერთხელ გაივლებ გონებაში,
ცხოვრების ბოლომდე გაგყვება და სიცოცხლესაც მოგიშხამავს!
თუ მოინდომა...
მე მჯერა გზაჯვარედინის და შეუძლებელი შესაძლებლობების!
შენ რისი გჯერა?
არ შეიძლება, საიდანღაც გესმოდეს ნაბიჯების ხმა
და მთელი სხეულით აკანკალებული ხვდებოდე, რომ გეჩვენება!
პეპლებს სამი დღის სიცოცხლე აქვთო და შემშურდა!
ცოდვა გამხელილი ჯობია და პატიებასაც რა უდგას წინ?!
პარადოქსია, ერთდროულად გიყვარდეს და გეშინოდეს კიდეც.
არა რაა... ხანდახან უნდა მოსწყდე რეალობას,
თორემ შეიშლები!

### ომი

მე აღარ ვარ ინკოგნიტო,
პლუტონივით შორად მდგომი,
როგორც ალყაშემორტყმული
უდარაჯო გარნიზონი!
მაინც არ ვდევ ჟამთასვლას
და ამქვეყნიურ კანონებს!
მერე რა, რომ საუბრისას
მეც ვიყენებ ჟარგონებს?..
ხვედრი ჩემი არ გეგონოთ
ნათელი და მკაფიო...
მობოდიშეს, შემნანებელს,
როგორ არ ვაპატიო?!
არ ვყოფილვარ არასოდეს
მედროვე და ოხერი!
სიყვარულში გავატარე
ჩემი წუთისოფელი...
არ მაქვს ჩემი "ხვალინდელი",
არც მომავლის გეგმები,
ვიცი, ატმის ყვავილობას
სულ რომ ვერ მოვესწრები!
ერთადერთი ბილიკი მაქვს,
საცალფეხო, ქვების გროვა,
მე არ წავალ, აი ის კი,
უცილობლად ჩემთან მოვა!
გზაჯვარედინს თუ მივაგნებთ,
სადღაც, იქ ხომ შეხვდებით?!
ომი თავს რომ არ გვანებებს,
ჩვენც იმიტომ ვნებდებით!

### Omnia extares
### (მიეცით ნება, იხეტიალოს)

პრერიის ქარმა აფრიალა ღრუბლების ფარდა,
ველურ სტეპებში მუსტანგები დაჭიხვინებენ...
რა დამრჩენია შენი ზეცის სილურჯის გარდა,
ჩემს მისწრაფებებს თუ ვერაფრით გამოიცნობენ?!
ქვიშის საათმა შუადღის სამს გადააბიჯა,
ტყვიამ ზუზუნით დაულეწა მკერდი კოიოტს,
ბურუსმა ღამის ქალამნები სწრაფად ჩაიცვა,
წვიმამაც შვება აგრძნობინა ქერს და სოიოს.
გამთენიისას, ჰარმონიკის თბილმა ჰანგებმა,
ჰორიზონტს მკვეთრად დააჩნია უცხო სიწითლე...
სანამ უდაბნოს მდუმარება ყველგან გამეფდა,
ჯირითით გასცდი კანიონს და გამოიფხიზლე!

### (წამო)

წამო!
აღარ გამაწამო!
წამო...
წამო!
წამო!!
წამო!!!
წავიდეთ და მერე... თუნდაც...
ჩამოგვისწრებს თოვლის გუნდაც!
ღიმილი თუ დაგვიბრუნდა,
არც კოცნები გაგვიხუნდა!
წავიდეთ და მერე... თუნდაც...
არ მანაღვლებს მაინც, სულაც...
გადარჩენა, გადა-რჩენა, გა-დარჩენა!
ვერაფერი ვერ დაგაკლე,
ამიტომაც დგახარ ცალკე!
ვერაფერი ვერ შეგმატე,
თავსატეხად დაგემატე!
ვწერდი, გწერდი და გიწერდი,
დაგიწერდი!
უტყვი ფრაზა არაერთი!
გაწმენდილი ლულა, დენთი...
თან დუმილი, თან წუხილი,
თან ჭექა და თან ქუხილი!
თან ტყუილი!..
არც სიცილი, არც ტირილი,
განწირულის ყრუ ღმუილი!
წამო!
წამო!
მაინც წამო!
მერე რა, რომ აღარ გწამვარ,
მაინც წამო!
წავიდეთ და თუნდაც, სულაც...
ჩვენს წუხილში დავიკარგოთ!

### მე ვარ ლექსი

გადაშლილი წიგნი ვარ და წამიკითხეთ,
უკვდავების წყარო ვარ და შემსვით!
თქვენი ყველა სურვილი ვარ, ამიხდინეთ!
თქვენი ძველი ნაცნობი ვარ, შემხვდით!
თქვენი ტკბილი სიზმარი ვარ, დაიძინეთ!
თქვენი ჩუმი ჩურჩული ვარ, ნუ ხმაურობთ!
თქვენი გულის თითოეული კვნესა ვარ და
არ ინანებთ, ხანდახან რომ ყური უგდოთ!
მე სხივი ვარ, როცა ცაზე მზე ამოდის,
ღრუბელი ვარ, ცას ცრემლი რომ მოაწვება,
ფესვები ვარ, მიწიდან რომ ხე ამოდის
და ტალღა ვარ, ზღვის ნაპირებს რომ აწყდება!
სიმღერა ვარ, მელოდიას თუ აჰყვებით,
სიცოცხლე ვარ და ცხოვრების წესი!
პაწაწინა ბილიკი ვარ, ნუ ასცდებით...
ვერ მიცანით? ეს ხომ მე ვარ, ლექსი!

### სამოსელი პირველი

ავკაფე ველური კაატინგა,
პაემანს გინიშნავდი კანუდოსში.
გზად დიდმა ვაკეირომ გამაცილა,
შემთვრალნი, რაღაცაზე ვსაუბრობდით...
კამორას გამოვცდი და საცდურივით,
მაშინვე ლამაზ ქალაქს მივაშურე...
"შუშხუნა" შემიცვალეს ნიშადურით,
შეშლილი ალექსანდროც ვინახულე.
ჰო... დაწვეს სამოსელი პირველი და
გაცვეთილი პერანგით თავს ვიწონებ...
ძვირფასო, თავს უფლება მივეცი და
ამ ლექსსაც სახსოვრად დაგიტოვებ!

### ა´ გონია

ყველაფრისგან გათიშული, სრულ ჭკუაზე არა ვარ,
ყველაფერი სულერთია, ყველაფრისთვის მზადა ვარ!
ვტოვებ წარსულს, გარინდებულს და მომავალს ვუყურებ,
ნერვებსაც და უჯრედებსაც უკვე საქმეს ვურთულებ!
დღეს სამყარო ფერადია, ხვალ იქნება შავ-თეთრი,
ზეგ ფერები ამერევა, არ დარჩება არც ერთი!
მაზეგ დავთმობ საწუთროს და გავიყოლებ ტაეპებს,
მერე ისევ თავიდან და... არსებობაც მაეჭვებს!
ჰარმონიას ვეძებ ჩემში, ისე როგორც ყველაში,
ვერ იპოვი სხვას ვერავის ჩემზე უფრო ხელგაშლილს!
სხვას ნურაფერს წარმოიდგენ, გრძნობებში ვარ გულუხვი,
სხვანაირად ხომ მაჯობებს საბლით მდგომი პირუტყვი!
ჰოდა, სანამ ასეთი ვარ და სულდგმულად ვითვლები,
დანარჩენი შენ დაწერე, თავად უკეთ მიხვდები...

### ნება-ნება

თვალებს ვხუჭავ, ნება-ნება
სიყვარული ითმინება...
ითმინება ჩუმად, წყნარად,
გულის ფსკერზე იყინება.
იყინება, როგორც თოვლი,
მისგან რჩება მხოლოდ ვნება!
მონუსხული, გაძარცვული,
მისთვის ბორგავს, მისთვის დნება!
თვალებს ვხუჭავ, ნება-ნება
სიყვარული ითმინება...

***

ხშირი სუნთქვა _ მარტის რისხვა!
ომი ისევ იწყება...
არ არსებობს ჩემთვის "ის სხვა",
მძაფრი თავდავიწყება!
ორსახოვან ჩემს მზერაში თუ იცანი ბახუსი,
ეს ნიშნავს, რომ თავმა ისევ მიმუხთლა და გამყიდა!
რაღაც უცხო თუ შენიშნე, სულ ახალი რაკურსი,
ე. ი. ცხოვრებაში შეცდომებიც გახშირდა!
მძულს ის წამი, წამი, როცა საკუთარ თავს ვაბეზღებ!
სუიციდის მონაცემებს გადავხედე იმ დღეს და...
(ახლა ვინმემ რომ მთხოვოს, ვერც სიცოცხლეს ვასესხებ),
ჩემი სახე, პირველი, ჩუმად პირჯვარს იწერდა!
ხედავ? ეს უსაქმური რქებს კვლავ ჩემზე ისწორებს!
ახლა ცდილობს, როგორმე ფრთები მომაკვეცინოს...
ჰგონია, რომ უბრალოდ მოვა, თავს გამიტოლებს,
კარგი, ოღონდ მანამდე, არაფერი გეტკინოს!

***

შენ უნდა მოკვდე!
_ იმისთვის, რომ იცოცხლო მარად!
უნდა უარგყონ!
_ იმისთვის, რომ გიწამონ კვლავაც!
უნდა გაგრიყონ!
_ იმისთვის, რომ იქცე რჩეულად!
პოეტი თუ ხარ _ უნდა გთვლიდნენ
გადარეულად!

***

დამესიზმრე!
და მესიზმრე!
და მე სიზმრებს...
დაგესიზმრე?
და გესიზმრე?
და შენც სიზმრებს...
ახლა რაღა დამაძინებს!
ახლა რაღა დამაძინებს!
მე შენსას და შენ ჩემს სიზმრებს,
მოვუყვებით დილით ნისლებს.
სანამ მოვა ჩრდილის ჭინკა, სასთუმლამდე მიმაცილებს...
მზეს ვფიცავარ! წითელ-ყვითელ ნაპრალებში მოლიცლიცებს!
გაზაფხულის სურნელს ვფიცავ, მწვანე მოლზე გაზრდილ იებს!
იმ ერთადერთ სანთელს ვფიცავ, წვისგან გულს რომ აგატკივებს!
თავთან მესმის შენი სუნთქვა, შენს კალთაში ვწევარ ახლაც!
საქართველოს ჭირისუფალს და ბრძოლებში მრავალნაცადს...
ვერ შევძელი, ვერ გავბედე, დავიწყება შენი სახის!
ერთხელ ისე შემომხედე, სურვილიც რომ გქონდეს ნახვის...
სხვისთვის ველარ გაგიმეტე, ვერ ჩაგთვალე მსგავსად ხალხის!
ნეტა, ისე გამითენდეს, დასაწყისი იყოს ახლის!

***

მესროლე ტყვია!
და მომკალი, მომკალი მალე!
მაგ შენი მჭიდით, გაუსწორე ლულას სანიშნე!
მესროლე ტყვია!
და ვისუნთქებ, ვიომებ ხვალე!
ოღონდ ჩემს ლექსებს მოაცილე შენი სამიზნე!
მესროლე ტყვია!
და იცოდე, თუ ააცილე, თუ ააცილე
წაგიხდება, გამოგიჩნდება დაფარული შენი ავიზნე!
მესროლე ტყვია!
და სულთმობრძავი, ჩემი გვამი თუ საიქიოს გადააცილებს...
დაიმახსოვრე! ეს სახელი მუდამ იცოცხლებს!
მემტერებოდნენ, მებრძოდნენ და მაინც გაიქცენენ...
შენც შეგეშინდა! ამიტომაც აგიკრეფია
ბოღმა, შური და უნამუსოს ვარქმევ საქციელს!
ჰო!.. ასე იყო... მაგრამ თუკი ერთხელ წაიქცნენ,
განგება ძლიერს კვლავაც ფეხზე წამოაყენებს!

*მამუკა ბიბილეიშვილი*

---

სს "საქართველოს რკინიგზას" დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს ადმინისტრაცია დიდი გულისტკივილით იუწყება სარემონტო-სარევიზიო უბნის ელექტრომექანიკოსის, ბრწყინვალე სპეციალისტისა და უკეთილშობილესი ახალგაზრდის

**დათო შენგელიას გარდაცვალებას**

და სამძიმარს უცხადებს დამწუხრებულ ოჯახს.

---

ელექტროსამონტაჟო სამმართველოს ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურეები დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობენ მთავარ ბუღალტერს, ციცინო ღაღანიძეს სიძის

**დათუნა შენგელიას**

გარდაცვალების გამო.

---

### ლორეტა გოგიშვილისა და ლაშა გოგიტაძის გახსენება



ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენს შორის აღარ ხართ, ჩვენო ლორეტა და ლაშა!

გაუნელებელი ტკივილი, მწუხარება დაგვეუფლა თქვენი ტრაგიკული გარდაცვალებით.



უფალმა დაავანოს თქვენი სპეტაკი სული იქ, სადაც მართალნი და უცოდველნი განისვენებენ.

თქვენს მიერ დატოვებული სითბო, სიკეთე და სიყვარული მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.

გულისტკივილით გიგონებთ.

*სავაგონო დეპოს კოლექტივი*

---

### მამუკა რუხაძის გახსენება



6 აგვისტოს 42 წელი შეგისრულდება, მამუკა. მესამე წელია, ჩვენგან რაც წახვედი, შვილო. ყველას გვენატრები, ყველა სინანულით გიგონებს მამუ. სულ ახლახან ილოს ქორწილში, თამადამ შოთიკომ, მამუკას კაცობის სადღეგრძელო განსაკუთრებით დალიაო, მითხრეს. ღმერთმა დალოცოს და გაამრავლოს ყველა შენი მომგონებელი, შვილო.

დრო მიდის, ცრემლისღვრით, სევდით
გული მიჭკნება, მიკვდება,
შვილის სიკვდილი რაც არის,
შვილმკვდარი დედა მიხვდება.
სიკვდილი ვერას დააკლებს,
შვილო, შენს სახელს ლამაზს,
ოთოს და გიოს საფიცრად
ჰყავხარ ძვირფასი მამა.

მძიმე, დამაფიქრებელი მოგონებებით შენზე ფიქრობს შენი მეუღლე ირმა. შვილებს ისე ზრდის როგორც შენ გსურდა. ეს დიდი პატივისცემაა შენი სულისადმი, შენი დამსახურებაა, შვილო. მე ისღა დამრჩენია, მიწას, რომელმაც ჩემი გაჭირვებით, უმამოდ გაზრდილი შვილი და მისი დაუღლელი მარჯვენა მშობელ დედასავით გულში ჩაიკრა, ვევედრები, სათუთად შეინახოს მისი სხეული. იძინე მშვიდად შენს მარადიულ სასუფეველში. კიდევ ერთხელ გილოცავ დაბადების დღეს!

*შენი დედა*

## “ლადიმ” საზღვაო კურორტის დამსვენებლებიც მოხიბლა

ფოლკლორული ჯგუფი “ლადი” უკვე იქცა სამტრედიის სავიზიტო ბარათად. ცეცხლოვანი, მხიარული, ენერგიული გოგო-ბიჭები თავიანთი შემოქმედებით გვხიბლავენ და თანდათან ზრდიან თაყვანისმცემელთა არმიას. სახელი რომ მოიპოვო და ავტორიტეტი შეინარჩუნო, განუწყვეტელი შრომაა საჭირო. ამ ბავშვებმა ეს კარგად იციან და პერმანენტულად აგრძელებენ მუშაობას.



ყოველდღიურად აქვთ რეპეტიციები. ზაფხულის ამ ცხელ დღეებში “ლადის” ურეკში, სასტუმრო “ალბატროსის” მფლობელმა, სამტრედიელმა ბიზნესმენმა, ქალბატონმა მედეა ხუჭუამ უმასპინძლა. სასტუმროს დამსვენებელთა წინაშე “ლადი” არა მარტო ფოლკლორული ნომრებით წარსდგა, ჯგუფის წევრებმა საესტრადო ნომრებიც შეასრულეს. ასევე მოხიბლეს აუდიტორია ცეცხლოვანი ცეკვებითაც.



კომენტარი ვთხოვეთ ჯგუფის პროდიუსერს, ბეჟან გოგიას:

“რამდენიმე დღის წინ ყოფილი ბაზრის უნივერმაღის მეორე სართულზე განთავსებულ საცეკვაო დარბაზში “ლადის” წევრები რეპეტიციას გადიოდნენ. იქ მოუსმინა მათ ქალბატონმა მედეამ, რომელსაც აქვს ურეკში შესანიშნავი, მაღალი დონის ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო. არის ძალიან განათლებული და ინტელიგენტი ქალბატონი. მას ძალიან მოეწონა ჯგუფის შემოქმედება და დაგვპირდა, რომ ურეკში, სასტუმრო “ალბატროსში” ჩვენს ბავშვებს უმასპინძლებდა და ჩავატარებდით იქ კონცერტს.

შესანიშნავად გვიმასპინძლა ქალბატონმა მედეამ, მანვე დაგვიფინანსა მგზავრობა, კვება, დაგვაბინავა კეთილმოწყობილ ნომრებში, ბავშვებმა იბანავეს აუზში, საღამოს კონცერტი გაიმართა, სასტუმროს დამსვენებლებისთვის. იქ ქართველების გარდა იყვნენ დამსვენებლები რუსეთიდან, შუა აზიიდან, სასომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ჩვენი რეპერტუარი სრულად წარმოვადგინეთ, გარდა ჩვენი ტრადიციული სიმღერებისა, სპონტანურადაც შევასრულეთ რამდენიმე ნომერი.



ჩვენთან ერთად იყო ნიჭიერი მუსიკოსი, ვირტუოზი პიანისტი და სამტრედიის კოლორიტი ქალბატონი, რომელიც გვერდით გვიდგას მეც და “ლადისაც”. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ჩვენი ბავშვების ქორეოგრაფიულმა ნომრებმა. იცეკვეს ჟანა დარახველიძემ, მარიამ თევზაძემ, ლუკა კიკაჩეიშვილმა, ქორეოგრაფი ზვიად ვაშაკიძეც ჩაერთო ცეკვაში, ზვიადი ჩვენ დაგვეხმარა ცეკვის დადგმაში, ესაა ცეკვა მელოდიაზე: “სოფელო, ჩემო სოფელო”. ამ ცეკვას განუმეორებელი ჟორა შავგულიძე ასრულებდა, ჩვენ იგი პროექტ “ნიჭიერში” უნდა წარვადგინოთ. “ქალბატონი მედეა არის დიდი მეცენატი. რამდენიმე წლის წინ მან დაგვიფინანსა ჩვენი რედაქციის რემონტის ხარჯები, ამჯერად კი, ჩვენი ჯგუფის წევრების შემოქმედებით აღფრთოვანებულმა ბავშვები დაასაჩუქრა, ღმერთმა უმრავლოს ასეთი ადამიანები ჩვენს ქვეყანას”.

მუსიკოსი მარინა ახობაძე; “განსაკუთრებული პატივისცემით მინდა მოვიხსენიო ჩვენი მასპინძელი, შესანიშნავი ქალბატონი, ბიზნესმენი და ქველმოქმედი ადამიანი, მედეა ხუჭუა. ბეჟან გოგიაზეც მინდა ვთქვა, რომელიც ძალიან ბევრს შრომობს, უკეთილშობილესი ადამიანია. ეს იცის კარგად მედეა ხუჭუამაც. ქალბატონი მედეა არასოდეს გატეხავს სიტყვას. დიდი ხანია ვიცნობ მას, თუ დავჭირდებით, ყოველთვის მის გვერდით დავდგებით, იმიტომ, რომ მან ეს ღირსეულად დაიმსახურა. საქართველოში ამ დონის მებრძოლი, ღირსეული და საქმიანი ქალი მე არ მეგულება. ადამიანს, რომელიც მისი შრომით მოიპოვებს წარმატებას და სხვებსაც ეხმარება, ღმერთმა გაუმარჯოს!

ჩვენ იქ წარმოვადგინეთ როგორც ფოლკლორული ნომრები, ისე საესტრადო. არ ვიცოდით, იქ ვინ დაგვიხვდებოდა. უცხოელი სტუმრებისთვის მე და მევიოლინემ, რამაზ შენგელიამ შევასრულეთ “პადმასკოვნიე ვეჩერა”. სტუმრები აღფრთოვანდნენ. ეს ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებას ხელს უწყობს. ვინადიან ეს საზღვაო კონცერტი იყო, ჩვენს ფოლკლორულ ნომრებს პოპ მუსიკაც შევურიეთ. 2 უცხოური სიმღერა მარი თევზაძემ იმღერა. ის გიტარას ძალიან კარგად ფლობს. ასევე თათია ბაღდავაძემ შრეასრულა გარი მურის სიმღერა და “ცოტა კიდევ მოითმინე გულო”...

ექსპრომტად მოფიქრებული საცეკვაო ნომრით ქორეოგრაფმა ზვიად ვაშაკიძემ ძალიან მოხიბლა პუბლიკა.

კიდევ ერთი, რამ მინდა ვთქვა: ეს ბავშვები არ არიან თავისით პროფესიონალები. ბეჟან გოგიას დიდი შრომა და ძალისხმევაა ჩადებული მათ წინსვლაში და შედეგიც სახეზეა”.

ანრი მანჯგალაძე, “ლადის” წევრი, უკრავს ფანდურსა და სალამურზე: “ბოლო პერიოდში ყოველდღიურად გვაქვს რეპეტიციები. ურეკში შესანიშნავი კონცერტი ჩავატარეთ, პუბლიკა მოვხიბლეთ, უკვე გვაქვს შემოთავაზებები თბილისიდან, ქუთაისიდან და ბათუმიდან. 28 აგვისტოს იმავე სასტუმროში კიდევ გველოდებიან. დიდი მადლობა ქალბატონ მედეას. ყველაფერი იდეალურად მოგვიწყო. ჯერ ასეთი კონცერტი მართლა არ ჩაგვიტარებია. ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ უცხოელები. კონცერტის დამთავრების შემდეგ ნახევარი საათის განმავლობაში არავინ დაძრულა ადგილიდან, ითხოვდნენ კიდევ ახალ შესრულებას. იყო ტაში და დიდი ოვაცია”.

**ნათია ნაცვლიშვილი**




ქალებმა დაგღუპეს შენ, ქალებმა!



**ბატონ თენგიზ ცაგურიას!**

დაბადების დღეს, 60 წლის შესრულებას გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ. უფალი გფარავდეთ!

**“სამტრედიის მაცნე”**

**ანასტასია მეფარიშვილს!**

ჩემო კუდრაჭა გოგოვ, ჩემო თვალისჩინო, შენ გენაცვალოს შენი ბებო! გილოცავ დაბადების დღეს. გაიზარდე სასახელო ქართველი ქალი. იყავი ჯანმრთელი, ხალისიანი, სიხარულით სავსე შენს მშობლებთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი!

**ნაილი ბებო**



## ... ჰაი-ჰაი რომ ყოფითმავწირავთ ცხადსსა...

*(შოთას ენარხეულითთანა)*

... მზემსმ _ საფერრა, ჰყოვლსთთავდმ ვვაქებ, მმით ვვთაყვანებ თეთრსა მხოლოდ _

“ერთჯერად _ ვვარსთ” ადამმოდგმად _ ერთსჭკვალოჰბად, საწყის _ ბოლოდ,

ამმადმსც ვწილობთ “მმოჰკვდავ”, _ ... “უკვდავს” ვვით ამმ “ვმრავლობთ”, _ აგრემსც “ვმხოლობთ”.

სულმან _ უცხადესმან მმარქვა, _ ოდენ ვვარსობთ, ღვთიურს ვშორობთ,
დროი განჰქრა გარეშემო, ნამყო-აწმმჰყოს, მმყოფადმს ვსწორობ...
დრო ცრურქმმაა ცოდვილსთ მმახედ, უსახურად, ჰრიგითმ ჰღონოდ,
მმოიგვარა უჩინძალად მიწიერ _ თთან კვალის _ ჰკვალად,
სიგრძე-განი ბეწვმან დაფქვა სრულად ჟამის გასაქარად...
ჰშთაგონებამ ჰზეცისკართთან სამუდამოდ დაიკარა,
ვვით _ ამმ _ ჰხილვამ, “ყოფიერად”, ჩქამის ბადლად გარდიცვალა...
არ _ ვვწუხ გადაფრენილნ დღეთდამ, _ არცა აქ ტკბილად _ არცა მსწარად, რომ
ზღვას ვხედავ ერთსსა წვეთსჰშინ, _ ჰჟამმად, წამი მმკმარის ფარად...
თავს ვვუდგავარ ჭირისუფლად, მოჰკვდავსმმ, _ უკვდავების თვალად
თეთრი, _ არრის?! შავი _ არრა?! აზრი ჰშვუა -ჰშვუა ცოდვად, ბრალად;
...ურცხვად ვვარსობთ, ხორცად _ ძვალად.

**ანზორ ზმანება**

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა